პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 64 (10150) | ხუთშაბათი, 17 მარტი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
მეტი კარგი ქსოვილები (1-ლი გვერდი).
სოფლის კომუნისტები სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. — ერთი პოლიტსკოლის მეცადინეობაზე (მე-2 გვერდი).
მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემსწავლელთა დასახმარებლად. — განვითარება როგორც დაპირისპირებულთა ბრძოლა (მე-2 და მე-3 გვერდი).
ოთხი ათასი წყვილი ფეხსაცმელი გეგმის გადამეტებით (მე-2 გვერდი).
პრესის მიმოხილვა. — ღრმად, საქმის ცოდნით გავაკეთოთ ქოთ მტს-ების მუშაობა (მე-2 გვერდი).
სამუხის საზამთრო საძოვრებზე (მე-3 გვერდი).
ვაჭრობის მოწინავე მუშაკები (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მუშა და სოფლის კორესპონდენტები

საბჭოთა პრესა ჩვენი პარტიის ყველაზე შორმსროლი იდეური იარაღია კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში. მტკიცედ ხელმძღვანელობს რა მარქსისტული დებულებით, რომ საზოგადოების განვითარებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ხალხის მასებს, საბჭოთა პრესა მთელ თავის აღმზრდელობითს და ორგანიზატორულ საქმიანობას წარმართავს მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის ფართო მასების აქტიური მონაწილეობით. ხალხთან გაზეთების მტკიცე კავშირი თავის მკაფიო გამოხატულებას პოულობს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა აქტიურ საქმიანობაში.

მუშა და სოფლის კორესპონდენტებმა დიდი წვლილი შეიტანეს და შეაქვთ საბჭოთა პრესის განვითარებასა და განმტკიცებაში. გენიალური ლენინის საქმის დიდი განმგრძობი ი. ბ. სტალინი ჯერ კიდევ 1924 წელს პარტიის მეცამეტე ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამბობდა: „მუშკორთა და სოფლკორთა ორგანიზაციებს დიდი მომავალი აქვთ. განვითარების განსაზღვრულ პირობებში ამ ორგანიზაციებს შეუძლიათ შეასრულონ პროლეტარული საზოგადოებრივი აზრის ნების უდიდესი გამომხატველისა და მძლავრი გამტარებლის როლი. თქვენ იცით პროლეტარული საზოგადოებრივი აზრის ძალა ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობის ნაკლოვანებათა მხილებისა და გამოსწორების საქმეში, — ეს ძალა ბევრად უფრო სერიოზულია, ვიდრე ადმინისტრაციული ზემოქმედების ძალა“.

კომუნისტურმა პარტიამ აღზარდა მუშა და სოფლის კორესპონდენტების — ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტების, კომუნიზმის აქტიური მშენებლების მრავალრიცხოვანი არმია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა სამოქალაქო ომის შემდეგ სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, პირველი ხუთწლედების წარმატებით შესრულებისათვის, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ პერიოდში მუშსოფლკორთა საქმიანობა თავის მნიშვნელობას როდი კარგავს, არამედ კიდევ უფრო ფართოვდება და ახალი ძალით ჩაღდება.

ჩვენი გაზეთები ყოველდღიურად იღებენ მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მრავალ წერილს, რომლებშიც იგრძნობა თვით ცხოვრების მაჯისცემა, საბჭოთა ადამიანების საგმირო საქმეები, მათი თავდადება საყვარელი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის.

თავიანთ წერილებში მუშა კორესპონდენტები მოგვითხრობენ შემოქმედებითს შრომაზე, მრეწველობის ნოვატორთა დაუშრეტელ ენერგიაზა და ინიციატივაზე, საქმის ღრმა ცოდნით ავლენენენ ახალ რეზერვებს, აკრიტიკებენ საწარმოთა მუშაობის ნაკლოვანებებს. სოფლის კორესპონდენტების ძალა ის არის, რომ ისინი ღრმად იცნობენ საკოლმეურნეო წარმოებას, თვითონ არიან იმ საქმის აქტიური მონაწილენი, რის შესახებ წერენ გაზეთებში. სოფლის კორესპონდენტები — საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორები, მექანიზატორები, აგრონომები, მასწავლებლები, ზოოტექნიკოსები, სოფლის ენერგოტექნიკოსები, მშენებლები მუდამ არიან საკოლმეურნეო წარმოებაში ყოველივე ახლის, პროგრესულის დანერგვისათვის, სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებისათვის, სოფლად კულტურის შემდგომი აყვავებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. ამავე დროს სოფლკორები მოურიდებლად აკრიტიკებენ და გმობენ ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის საკოლმეურნეო წარმოების ძლევამოსილ წინსვლას.

გაზეთების საქმიანობაში მუშა და სოფლის კორესპონდენტებს აქტიურად ჩაბმა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გაზეთების შინაარსს, აძლიერებს მათს როლსა და გავლენას, ხელს უწყობს მასების შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომ განვითარებას, ქმედით დახმარებას უწევს პარტიულ ორგანიზაციებს კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებაში, აძლიერებს ქვემოდან კრიტიკას. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, გაზეთების რედაქციები მოვალენი არიან გადაჭრით გააუმჯობესონ დახმარება მუშა და სოფლის კორესპონდენტებისადმი, დაუფლავად იზრუნონ, რომ გაზეთების რედაქციების კავშირი მუშ-სოფლკორებთან დღითიდღე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს.

მაგრამ უკანასკნელ ხანს ზოგიერთი გაზეთის რედაქციამ შეასუსტა მუშა და სოფლის კორესპონდენტებთან მუშაობა. მუშკორებთან, რედაქციის გარეშე ავტორებთან მუშაობის ჩაშლის შედეგად ბოლო ხანს მნიშვნელოვნად იკლო წერილების ნაკადმა ჭიათურის საქალაქო გაზეთ „ჭიათურის მაღაროელში“, რის შედეგადაც გაზეთი კეთილსინდისიერად დაბალ იდეურ-პოლიტიკურ და კულტურულ დონეზე. რუსთავის საქალაქო გაზეთ „მეტალურგიის“ რედაქციის მუშაკები მუშა კორესპონდენტთა მასალებს უქონლობის შესანიშნავად საკუთარ წერილებსა და შენიშვნებს სხვადასხვა გამოგონილი გვარით ბეჭდავენ, ბევრ მათგანს ოთხიხუთი ფსევდონიმი აქვს. მუშაობაში სოფლის კორესპონდენტების მიზანდასახულ ნაკლებად ზრუნავენ მთელი რიგი რაიონული გაზეთებიც. ბოლნისის რაიონული გაზეთის „წითელი დროშის“ რედაქციამ მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში მიიღო სოფლის კორესპონდენტთა მხოლოდ 25 წერილი და შენიშვნა, რომელთაგან ნახევარზე მეტმა მზის სინათლე ვერ იხილა. წელს რედაქციას არც ერთი წერილი არ მიუღია ქოჩულოდან, ტაშტიკულარიდან, ტანძიადან, კაზრეთიდან და რაიონის ზოგიერთი სხვა სოფლიდან.

პრესის მუშაკებს უნდა ახსოვდეთ, რომ მხოლოდ იმ გაზეთს შეუძლია იყოს მოვლენათა კურსში და მკაფიოდ, სრულყოფილად ასახოს ცხოვრება, რომელსაც ჰყავს კორესპონდენტი თვითეულ საწარმოში, კოლმეურნეობაში, მტს-ში, საბჭოთა მეურნეობაში, დაწესებულებაში. რედაქციები პასიურად კი არ უნდა უცდიდნენ მშრომელთაგან მასალების მიღებას, არამედ ეწეოდნენ ორგანიზატორულ მუშაობას, ეძებდნენ და პოულობდნენ მათთვის საჭირო ავტორებს, ასწავლიდნენ და ზრდიდნენ მათ. ამ მხრივ ერთგვარი გამოცდილება შეიძინეს გაგრის რაიონული გაზეთის „გამარჯვების დროშის“ რედაქციის მუშაკებმა, რომლებიც სამუშაო დროის მეტ ნაწილს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში ატარებენ, ეხმარებიან სოფლის მოწინავე ადამიანებს, რათა მათ უფრო აქტიურად ითანამშრომლონ გაზეთში. სოფლის კორესპონდენტებთან კავშირის განსამტკიცებლად ისინი იყენებენ აგრეთვე რაიონის ცენტრში მოწვეულ თვითეულ თათბირსა და შეკრებას.

საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებმა ამჟამად მუშა და სოფლის კორესპონდენტების უურადღება უნდა გაამახვილონ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის შრომის ნაყოფიერების გადიდება, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილების გავრცელება, საწარმოო რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოვლინება და სრული გამოყენება, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდება, სიმინდის, კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესების გაფართოება, პირუტყვის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, მეცხოველეობის ყველა შრომატევადი სამუშაოს მექანიზაცია და სხვ.

საბჭოთა პრესის ძალაა მისი მასობრიობა, მისი მჭიდრო კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან. საოლქო, საქალაქო, რაიონული გაზეთების ვალია დაუცხრომლად ზრუნავდნენ ამ კავშირის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცებისათვის, თავიანთ კორესპონდენტთა რიგების გამრავლებისათვის, მათი საქმიანობის ყოველდღიურად წარმართვისათვის.

ქართულ ენაზე გამოიცა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირზე

სახელგამმა ქართულ ენაზე ცალკე ბროშურად მასობრივი ტირაჟით გამოსცა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა „მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვის, ხარისხის გაუმჯობესებისა და ღირებულების შემცირების შესახებ“, რომელიც მან წარმოთქვა მშენებელთა, არქიტექტორთა, საშენი მასალების სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის მრეწველობის, დამპროექტებელი და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე 1954 წლის 7 დეკემბერს. (საქდესი).

ჩვენს დიად სამშობლოში

კუიბიშევჰიდროშენი. გაზაფხულზე უნდა ამუშავდეს კუიბიშევის ჰიდროკვანძის ორკამერიანი სანაოსნო რაბები. **სურათზე:** რაბების მარჯვენა კამერის ზედა სათავის ნაგებობათა სამუშაოების უბანი.

ფოტო ნ. ფინიკოვისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

★ ★ ★

მოსკოვის ამგები

„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან

ხარატ ვ. ნეჩაევის წარმატება

სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის ხარატმა ვ. ნეჩაევმა ამას წინათ შესანიშნავი მოღწევა გვიჩვენა. მას მიანდეს მანქანის თვლების დიდი პარტიის მოხარატება და ვადად მისცეს 75 დღე. ნეჩაევმა გააკეთა ახალი ხელსაწყო, რომელიც მოარგო თავის სახარატო ჩარხს, ხელსაწყოზე დააყენა სამი საჭრისი, რამაც მას საშუალება მისცა დეტალზე სამი ოპერაცია ერთდროულად შეესრულებინა.

ამავე დროს ნეჩაევმა გააკეთა მეორე ხელსაწყო, რომელმაც მას საშუალება მისცა საგრძნობლად შეემცირებინა ჩარხზე დეტალის დაყენებისა და გადმოღებისათვის საჭირო, ე. წ. დამხმარე დრო. ყოველივე ამის შედეგად, როგორც გაზეთი „ვეჩერნაია მოსკვა“ წერდა, მან 75 დღისათვის გათვალისწინებული სამუშაო 8 დღეში შეასრულა.

მეტროს მეხუთე რიგის მშენებლობაზე

დიდი წარმატებით მიმდინარეობს მეტროს მეხუთე რიგის მშენებლობა. მეტროს მშენებელთა სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობა მიეკუთვნა სადგურ „რიუსკაიას“ მშენებელთა კოლექტივს. ეს პირველი სადგური იქნება მეტროპოლიტენის იმ ხაზზე, რომელიც დედაქალაქის ცენტრალურ რაიონებს დაუკავშირებს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიასთან.

1 მაისისათვის მშენებლებმა უნდა დაამთავრონ ყველა სამუშაო ფრუნზეს რადიუსის პირველ უბანზე, სადაც ორი სადგურია — „ფრუნზენსკაია“ და „უსაჩევსკაია“.

ასფალტის სამუშაოები ზამთარში

მოსკოვის საქალაქო ტრესტმა — „მოსდორექსპლუატაციამ“ წელს პირველად დაიწყო ქუჩების მოასფალტება ზამთრის პირობებში. ამ სამუშაოს შესრულება ხდება შემდეგი წესით: ჯერ ქუჩაში ყრიან გახურებულ ქვიშას, რომლითაც ხდება ქუჩის ზედაპირის მომშრალება. შემდეგ მოაქვთ და აგებენ 180 გრადუსამდე გაცხელებულ ასფალტის მასას, რომელსაც მექანიზმებით ტკეპნიან.

ასფალტის ტრანსპორტირება ქარხნიდან სამუშაო ადგილამდე ხორციელდება სპეციალური ავტომობილ-თერმოსებით. წელს ამ წესით მოასფალტებულ იქნა გორკის ქუჩის, ლენინგრადის გზატკეცილისა და 1-ლი მეშჩანსკაია ქუჩის დაზიანებული ნაკვეთები.



მოლდავეთის სსრ. დუბოსარის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს. ორმა აგრეგატმა დენი მიაწოდა სამრეწველო საწარმოებს. **სურათზე:** დუბოსარის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საერთო ხედი.

ფოტო პ. ლისენკინისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

კახოვკის კესის მეორე ჰიდროგუარბინი

ხარკოვი. (საკდესი). კიროვის სახელობის ტურბინის ქარხნის კოლექტივმა ახალ საწარმოო წარმატებას მიაღწია: დამთავრდა კახოვკის ჰესის მეორე მძლავრი ტურბინის დამზადება. მის გადასატანად საჭირო იქნება ოცდაათზე მეტი რკინიგზის პლატფორმა.

პირველი ჰიდროშახტი ყარაგანდაში

ყარაგანდა, 15 მარტი. (საკდესი). ყარაგანდის შახტების დაპროექტების ინსტიტუტმა შეიმუშავა პროექტი შახტისა, სადაც ქვანახშირის ამოიღებენ წყლის საშუალებით.

რეზერვუარიდან წყალი წავა სატუმბავ სადგურში და იქიდან მილების სისტემის საშუალებით ჰიდრომონიტორებში. წყლის ნაკადი წამში ასი მეტრის სიჩქარით მიეხეთქება ქვანახშირის ფენას და ადვილად დაანგრევს მას. ჩამორეცხილი ქვანახშირი ღარების საშუალებით წავა შემკრებ შტრეკში, გაიგზავნის სამსხვრევს და მაღალი წნევის სასრუტების საშუალებით წყალთან ერთად ავა მაღლა.

ჰიდროტრანსპორტის გამოყენებისას საჭირო აღარ იქნება დიდი კვეთის ჭაურები, მკვეთრად შემცირდება ყველაზე შრომატევად სამთო სამუშაოთა მოცულობა. უახლოეს დროში დაიწყება ჰიდროშახტის პირველი უბნის მოწყობა.

ახალი ბაღები და ვენახები

ბაქო, 15 მარტი. (საკდესი). აზერბაიჯანის კოლმეურნეობებმა დაიწყეს ბაღებისა და ვენახების საგაზაფხულო გაშენება. წელს ახალი ხეხილის ნარგავები რესპუბლიკაში დაიკავებენ 5 ათას ჰექტარს.

სანერგეებმა მოამზადეს ხეხილის ნახევარი მილიონი ნერგი.

სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშგებისა და არჩევნების შესახებ

სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა მთელი ქსელის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ დაადგინა 1955 წელს მოაწყოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა პირველადი ორგანიზაციების, საოლქო, სამხარეო, საგზაო, საუზო, რესპუბლიკური და ცენტრალური გამგეობების საბჭოების ანგარიშგება და არჩევნები.

დადგენილია ანგარიშგებისა და არჩევნების მოწყობის შემდეგი ვადები: საწარმოთა და დაწესებულებათა საზოგადოებების პირველადი ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები — 1 მაისამდე; საოლქო, სამხარეო, საგზაო, საუზო და რესპუბლიკური კონფერენციები — 1 ივნისამდე; სრულიად საკავშირო კონფერენციები — 1 ივლისამდე.

დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები უნდა მოეწყოს იმ ნიშნით, რომ საზოგადოებათა წევრებმა შემდგომ განავითარონ შემოქმედებითი ინიციატივა და მონაწილეობა მიიღონ ახალი მოწინავე ტექნიკის შექმნაში, რეზერვების გამოვლენებასა და გამოყენებაში, მოწინავე საწარმოო-ტექნიკური გამოცდილების შესწავლასა და განვითარებაში, რომ გაიშალოს საზოგადოებათა მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკა და თვითკრიტიკა. (საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. ს. ეგნატაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი, ნაყოფიერი პედაგოგიური და სპორტული მოღვაწეობისათვის სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი გიორგი სიმონის-ძე **ეგნატაშვილი** დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.
ქ. თბილისი. 1955 წ. 16 მარტი.

მეტი კარგი ქსოვილები

საფეიქრო მრეწველობის მუშაკებმა შარშან გადაჭარბებით შეასრულეს ბამბის, აბრეშუმისა და სელის ქსოვილების წარმოების გეგმა. გაუმჯობესდა საფეიქრო პროდუქციის ასორტიმენტი, იმატა იმ ნაწარმის გამოშვებამ, რომელზეც გადიდებული მოთხოვნილებაა. მაგრამ ფეიქრებს ჯერ კიდევ მთლიანად როდი გამოუყენებიათ თავიანთი საწარმოო შესაძლებლობანი კარგ და ლამაზ ქსოვილებზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილებისათვის.

ფაქტები ცხადყოფენ, რომ იმ საწარმოებთან ერთად, რომლებიც წარმატებით ასრულებენ საწარმოო გეგმებს, ცოტა როდია ჩამორჩენილი ფაბრიკები და კომბინატები. 1954 წლის მეოთხე კვარტალში მოსკოვის ოლქის ბამბეულის მრეწველობის მთავარი სამმართველოს საწარმოებმა ვერ შეასრულეს პროგრამა მზა ქსოვილების გამოშვების დარგში, „გლავშერსტის“ საწარმოებმა — ხამი ქსოვილების, ხოლო ახალ მშენებლობათა ბამბეულის მრეწველობის მთავარი სამმართველოს საწარმოებმა — ყველა ძირითადი წარმოების დარგში. განსაკუთრებით ცუდად მუშაობდნენ მოსკოვის ოლქის გლუხოვის ბამბეულის კომბინატი და ნარო-ფომინსკის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, საქსოვი ფაბრიკა „ვპერიოდი“ (სტალინგრადის ოლქი), გორის ბამბეულის კომბინატი საქართველოში.

წელს მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების, განსაკუთრებით იმ მაღალხარისხოვანი ქსოვილების გამოშვება, რომლებზეც მოსახლეობაში ყველაზე დიდი მოთხოვნილებაა. საფეიქრო მრეწველობის მუშაკებმა ამისათვის მობილიზაცია უნდა უყონ წარმოების მთელ შინაგან რეზერვებს და მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას.

შრომის ნაყოფიერების ზრდას, როგორც მოწინავე საფეიქრო საწარმოთა გამოცდილება მოწმობს, აღწევენ უწინარეს ყოვლისა არსებული ტექნიკის უნარიანი და სრული გამოყენებით, მოწინავე ტექნოლოგიისა და შრომის პროგრესული მეთოდების ფართოდ დანერგვით. ივანოვოს სართავ ფაბრიკა „კრასნაია ტალკაში“ ნართის გამოშვება დამატებითი დაზგების დაუდგმელად შარშან 1950 წელთან შედარებით 28 პროცენტით გადიდდა. მოსკოვის ოლქის დედოვსკის კორდის ფაბრიკის კოლექტივმა იმას მიაღწია, რომ 1954 წლის მეოთხე კვარტალში საქსოვი მოწყობილობის წარმადობა წინა კვარტალთან შედარებით თითქმის 7 პროცენტით გაადიდა.

ამასთან ცოტა როდია ისეთი საფეიქრო საწარმო, სადაც მდიდარ ტექნიკას ცუდად იყენებენ. მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკთა აქტივის ამასწინანდელ თათბირზე მოყვანილი იქნა ახალი ტექნიკის გამოყენებისადმი დაუდეგარი დამოკიდებულების ასეთი საოცარი მაგალითი: პირველი საჩითავი ფაბრიკის სათეთრებელ საამქროში ამუშავებენ მოძველებულ სარეცხ მანქანებს, რომლებსაც არა აქვთ საჭირო წარმადობა, ხოლო ახალი კონსტრუქციის შვიდი სახარშავი ქვაბი სამ წელიწადზე მეტია გამოუყენებელი ინახება. დიდია მოწყობილობის მოცდენა დიდკოხომის კომბინატში და ივანოვოს ოლქის ზოგიერთ სხვა საფეიქრო საწარმოში.

საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელების, ყველა მუშაკის უურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ბოლომდე გამოიყენონ არსებული ტექნიკა, ყველა მუშის კუთვნილებად გახადონ შრომის პროგრესული მეთოდები, რომლებსაც წარმოების ნოვატორები იყენებენ. ამ საქმეში ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინეს მოსკოვის ოლქის მონინის კამვოლური კომბინატის ოსტატის თანამემწეებმა ამხ. ამხ. ტაპრალოვმა, პანტელეევმა და სხვებმა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს თვითეული დაზგის წარმადობა და მქსოველთა შრომის ნაყოფიერება აიყვანონ იმ დონემდე, რომელსაც საუკეთესო მუშებმა მიაღწიეს. საჭიროა, რომ ამ წამოწყებამ ყველგან ჰპოვოს ფართო გამოხმაურება.

ქსოვილების წარმოების გადიდებისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს ბამბის, სელის, მატყლისა და სხვა ნედლეულის უკეთ, რაც შეიძლება უფრო ეკონომიურად გამოყენებას. საფეიქრო მრეწველობაში ნედლეულის მაქსიმალური ეკონომიისათვის გაჩაღებული ბრძოლა საგრძნობ შედეგებს იძლევა. 1950 წლიდან დღემდე მარტო საკავშირო მნიშვნელობის შალეულის საწარმოებში დაზოგილია 1.300 ტონაზე მეტი ბუნებრივი მატყლი და 2.400 ტონა ნართი, რომლითაც საწარმოებმა დამატებით გამოუშვეს 4,6 მილიონი მეტრი მაუდისა და კამვოლის ქსოვილები.

მაგრამ ნედლეულის ეკონომიის შესაძლებლობებს მთლიანად როდი იყენებენ. ბევრ საწარმოში ჯერ კიდევ დიდია ნართის ნარჩენები. გვხვდება შეუწყნარებელი ფაქტები, რომ გეგმით გათვალისწინებული ერთი ნედლეულის ნაცვლად ხარჯავენ სხვა უფრო ძვირფას ნედლეულს. ამოცანა ის არის, რომ თვითეულ საწარმოში მივაღწიოთ ნედლეულის რაც შეიძლება ეკონომიურად ხარჯვას.

ფეიქრებმა უნდა მოახდინონ მთელი ძალების მობილიზაცია, რათა განუწყვეტლივ გაადიდონ კარგი და ლამაზი ქსოვილების გამოშვება საბჭოთა ადამიანებისათვის.

„პრავდა“, 16-III.

სოფლის კომუნისტებმა სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს

ერთი პოლიტსკოლის მეცადინეობაზე

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეს ფლაველ კოლმეურნე დ. მახნიაშვილს, როცა იგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებას გაეცნო, ბევრი საინტერესო კითხვა დაებადა.

— ხილისა და შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანით ჩვენი კოლმეურნეობის სახელი დიდი ხანია რაიონის ფარგლებს გასცდა. რატომ არ შეიძლებოდა ასევე გაგვეთქვა სახელი მარცვლეული კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის განვითარების საქმეში? — ფიქრობდა იგი და თვითონვე უპასუხებდა: — როგორ არა, თამამად შეგვეძლო.

და განა მარტო დ. მახნიაშვილი ფიქრობს ასე. დღეს ასე მსჯელობს ყველა ფლაველი კოლმეურნე, რომლებსაც უკვე მოპოვებული აქვთ პირველი წარმატებები მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში.

* * *

იმ დღეს კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლის მორიგი მეცადინეობა იყო დანიშნული. ელექტროშუქით განათებულ კოლმეურნეობის კანტორის თბილ ოთახში პოლიტსკოლის მსმენელები შეიკრიბნენ.

პროპაგანდისტი დ. მეტრეველი აყენებს კითხვებს თემიდან: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებას მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ“. მსმენელები მოფიქრებულად ლაპარაკობენ, მკაფიოდ და გასაგებად განმარტავენ საკითხებს.

საუბარში პირველი ჩაება მეძროხეობის ფერმის გამგე, კომუნისტი რ. ბასილიძე. მან ილაპარაკა იმ დიდ ცვლილებებზე, რომლებიც მოხდა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შექმნეს საჭირო პირობები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის. წინათ, — ამბობს იგი, — მეცხოველეობა ჩვენს კოლმეურნეობაში ძალიან ჩამორჩენილი დარგი იყო. წლობით არ სრულდებოდა წველადობის გეგმა. ახლა სულ სხვა სურათი გვაქვს. 1954 წელს კოლმეურნეობაში პირველად შესრულდა წველადობის გეგმა.

საუბარში ჩაერია მეხბორე კომუნისტი გ. ჯალაბაძე. მან თქვა:

— პარტია ჩვენგან მოითხოვს გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ის, რასაც ჩვენ მეცხოველეობის განვითარებაში მივაღწიეთ, საკმარისი არ არის. საჭიროა საქმე იმგვარად მოვაწყოთ, რომ მეცხოველეობის პროდუქტები სახელმწიფოსაც დიდი რაოდენობით ჩავაბაროთ და შრომადღეზეც გავანაწილოთ.

— სწორად მსჯელობს ამხ. ჯალაბაძე, — ლაპარაკობს მერგოლური გ. ტატულაშვილი. — პარტიამ დაგვისახა მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის გზა. ეს გზაა მარცვლეულის წარმოების გადიდება. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ვეგეტაციური კი კოლმეურნეობაში არ სრულდება.

სანამ მეცადინეობის პირველი საათი დამთავრდებოდა, პროპაგანდისტი აკეთებს თავის შენიშვნებსა და დამატებებს. იგი განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ უდიდეს როლს, რომელსაც ასრულებს სოფლის მეურნეობის აღმავლობაში მძიმე ინდუსტრია, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მუშათა კლასი.

მეცადინეობის მეორე საათში კიდევ უფრო საინტერესო და ცოცხალი გახდა საუბარი. მსმენელთა გონებაში ღრმად ჩაიბეჭდა კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანა: უახლოეს ხუთ-ექვს წელიწადში მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება ერთიორად და უფრო მეტად გავადიდოთ. მეცადინეობაზე აღინიშნა, რომ ამ ამოცანის შესასრულებლად წელსვე კოლმეურნეობა თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღებს სულ ცოტა 1.400 ლიტრ რძეს.

კოლმეურნეობის მეცხვარეობა-მეფრინველეობის ფერმის გამგემ, კომკავშირელმა გ. მეტრეველმა ილაპარაკა მატყლის წარმოების გადიდებასა და მეფრინველეობის განვითარებაზე.

— აქვე უნდა ითქვას, — დაუმატა კოლმეურნე კომუნისტმა გ. გიუაშვილმა, — მეფრინველეობა ჩვენს კოლმეურნეობაში კვლავ ჩამორჩენილი დარგია. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს თავის მოხსენებაში მოყვანილი აქვს ხალხური თქმა: „ქათამმა კვერცხი დადო არა უბრალო, არამედ ოქროსი“. შეიძლება ითქვას, რომ ეს პირდაპირ ჩვენზეა ნათქვამი. შარშან კოლმეურნეობაში ერთ კვერცხმდებელ ქათამზე საშუალოდ მხოლოდ 28 კვერცხი მივიღეთ. ასე მუშაობა შომავალში აღარ გამოგვადგება.

სიტყვას ამბობს კომუნისტი დ. მახნიაშვილი.

— ახლა კოლმეურნეობის გამგეობა, — განაცხადა მან, — ადგენს მეცხოველეობის განვითარების გეგმას. ჩემი აზრით საჭირო იქნება პოლიტსკოლის მეცადინეობაზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებანი გავაცნოთ კოლმეურნეობის გამგეობას და პარტბიუროს.

პროპაგანდისტმა მოიწონა დ. მახნიაშვილის აზრი და მოუწოდა მსმენელებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ კოლმეურნეობის მეცხოველეობის განვითარების გეგმის შეშუშავებასა და შემდგომ მის პრაქტიკულად განხორციელებაში.

* * *

...პოლიტსკოლის მეცადინეობა დამთავრდა, მაგრამ მსმენელები კიდევ კარგა ხანს არ დაშლილან. მათ იმ დღესვე რამდენიმე საქმიანი წინადადება შეიტანეს პარტბიუროში.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის № 2 საქსოვი საამქროს საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადა, რომელსაც ოსტატის ფუნაშემწე გ. აბაშიძე ხელმძღვანელობს, დავალებებს ყოველდღიურად 115-118 პროცენტით ასრულებს. სურათზე: ექვსდაზგოსანი მქსოველი ხ. ბურჯანაძე (მარცხნივ) და ოსტატის თანაშემწე გ. აბაშიძე მუშაობის დროს.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

◁ ★ ▷

ოთხი ათასი წყვილი ფეხსაცმელი გეგმის გადამეტებით

ბათუმი. (საკ. კორ.). ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს არჩევნებისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშებმა. მათ თებერვლის დავალება 106 პროცენტით შეასრულეს და 2 თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 4.071 წყვილი ფეხსაცმელი. ამასთან თებერვალში აითვისეს საგაზაფხულო და საზაფხულო სეზონისათვის განკუთვნილი 3 ახალი მოდელის ფეხსაცმელი. ფაბრიკის კოლექტივი ამჟამად ენერგიულად მუშაობს, რათა მომდინარე თვეში კიდევ აითვისოს 3 ახალი მოდელი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ მერანტე ხ. ჯაფარიძე, საძირის მიმკერებლები კ. ნაჭაპურიძე და ა. მოვსესიანი, მუშა ძ. შაკიანი და სხვ.

მარტო იანვარში ბათუმელმა მეფეხსაცმლეებმა 6 ახალი მოდელის ფეხსაცმლის წარმოება აითვისეს.

ფაბრიკის კოლექტივი პირობას იძლევა განამტკიცოს მოპოვებული წარმატებანი და ახალი ძალით გააჩაღოს სოციალისტური შეჯიბრება, რათა კიდევ უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდეს პირველ მაისს.

მარგანეცის მრეწველობის შინარეზერვების გამოვლინებისათვის

ჭიათურა. (საკ. კორ.). აქ სამ დღეს მიმდინარეობდა სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ჭიათურის მარგანეცის საბადოს დამუშავებისა და მარგანეცის მრეწველობის შინარეზერვების გამოვლინება-გამოყენების საკითხებს. კონფერენციის მუშაობაში მარგანეცის ტრესტის ინჟინერ-ტექნიკოსებთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის, საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის შრომის დაცვის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები.

მარგანეცის ტრესტის მთავარმა გამაუხვებელმა ინჟინერმა კ. ჯინჭველაშვილმა კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება — „მარგანეცის მადნის მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გაზრდის საშუალებები“. ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ი. ზურაბიშვილი კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით — „ვიწრო სანგრევების მექანიზაციისა ოპტიმალური პარამეტრების დადგენით სოციალისტურ შეჯიბრებაში“. ინჟინერ-მექანიკოსის გ. ვაშაძის წერილი „ფართოდ დავნერგოთ ულიანოვკის მტს-ის გამოცდილება ტრაქტორების რეჟიმნტის საქმეში“. ამ წერილში ბევრი საინტერესო რჩევა იყო ტრაქტორიტისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების კვანძური მეთოდით რემონტის თაობაზე. მოსალოდნელი იყო, რომ გაზეთი ფართოდ გააჩაღებდა ბრძოლას რაიონის მტს-ში ამ მოწინავე მეთოდის დანერგვისათვის, მაგრამ ასე არ მოხდა. გაზეთმა ეს საქმეც დაივიწყა. მკითხველებმა ვეღარ გაიგეს, ბოლოს და ბოლოს დაინერგა თუ არა ჩოხატაურის მტს-ში რემონტის კვანძური მეთოდი.

კარგად მოიქცა გაზეთი „ბრძოლის დროშა“, როცა დაიწყო მასალების ბეჭდვა რუბრიკით „მტს-ი კოლეგიურნეობათა სამსახურში“. ამ რუბრიკით დაბეჭდილი მასალები ასახავენ მტს-ის წარმატებებსა და ნაკლოვანებებს. მაგრამ ამ წერილებს ბევრჯერ აკლია საქმის მდგომარეობის ღრმა ანალიზი, დასკვნები, მათში არ არის საქმიანი რჩევა-დარიგებანი.

„ბრძოლის დროშის“ თურცლებზე დროდადრო გამოქვეყნდება ავტორეული მასალები ტრაქტორისტთა მუშაობის გამოცდილებაზე. მაგრამ ისინი ხშირად დაწერილია მშრალად, ზერელედ, რის გამო მიზანს ვერ აღწევენ. მაგალითად, შარშან გაზეთში დაიბეჭდა ტრაქტორისტ გ. შარაშიძის წერილი სათაურით „ჩემი გამოცდილებიდან“, მაგრამ რაიონის მექანიზატორებმა ამ წერილიდან ვერავითარი გამოცდილება ვერ შეიძინეს. წერილი ინფორმაციული ხასიათისა იყო, შეიცავდა რამდენიმე ციფრობრივ მაჩვენებელსა და წყალწყალა, ზოგად ფრაზებს. ამგვარადვე იყო დაწერილი ტრაქტორისტ გ. მგელაძის წერილი — „მიღწეულით არ დავკმაყოფილდები“, რომელიც დაიბეჭდა რუბრიკით „ტრაქტორისტის გამოცდილებიდან“. ასეთ წერილებს, ცხადია, არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. გაზეთი მტს-ის საქმიანობის ამსახველი მასალების მხოლოდ სამრავლეს კი არ უნდა გამოიდევნოს, არამედ პირველ რიგში იზრუნოს მათს ხარისხზე, მათი ზემოქმედების სძლიერეზე. მოწინავე გამოცდილების და სოფლის მეურნეობის ნოვატორების შესახებ კორესპონდენციები მხოლოდ მაშინ არის სასარგებლო, როცა მათში ნაჩვენებია ცოცხალი გამოცდილება, დასახულია წარმატების მიღწევის გზები.

აქაამად რაიონში გაჩაღებულია საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, მტს-ში შექმნილია 5 სატრაქტორო ბრიგადა, კოლმეურნეობებში მიმდინარეობს საგაზაფხულო ხვნა, კოლმეურნეები კარგად იყენებენ ხელსაყრელ ამინდს, და იბრძვიან ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს წარმატებით შესრულებისათვის. სამწუხაროდ, ყოველივე ეს რაიონული გაზეთის ფურცლებზე სათანადო ასახვას ვერ პოულობს.

მტს-ები, როგორც საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორები, წარმართავენ საკოლმეურნეო ეკონომიკის განვითარებას. ამიტომ მტს-ების საქმიანობის სრულყოფილად ასახვა, მექანიზატორების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების თავდადებული შრომის ღრმად, საფუძვლიანად გაშუქება გაზეთების ერთ-ერთი უპირველესი საქმეა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა ამოცანად დაისახა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ისე მოაწყონ მუშაობა, რომ მტს-ები უახლოეს ხანში, ისევე როგორც მემინდვრეობაში, გადამწყვეტი ძალა გახდნენ მეცხოველეობაში. გაზეთების ვალია აქტიურად დაეხმარონ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში, უფრო მეტი ადგილი დაუთმონ თავიანთ ფურცლებზე მეცხოველეობის დარგში კომპლექსური მექანიზაციის განხორციელების საკითხებს, იბრძოლონ მტს-ების მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებისათვის.

სოფლად პოლიტიკური მუშაობის დაყენებისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მტს-ების ზონების მიხედვით პარტიის რაიკომების ინსტრუქტორთა ჯგუფებს. გაზეთები მოწოდებული არიან ქმედითი დახმარება გაუწიონ ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს, რათა მტس-ების ზონების ინსტრუქტორთა ჯგუფები მტს-ებსა და კოლმეურნეობებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წამდვილი ორგანიზატორები გახდნენ.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემსწავლელთა დასახმარებლად

განვითარება როგორც დაპირისპირებულთა ბრძოლა

დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი მარქსისტული დიალექტიკის უმნიშვნელოვანესი კანონია, რომელიც გვიხსნის ბუნებასა და საზოგადოებაში განვითარების პროცესების შინაგან შინაარსს. მატერიალისტური დიალექტიკა ეყრდნობა იმას, რომ ბუნების საგნებისა და მოვლენებისათვის დამახასიათებელია შინაგანი წინააღმდეგობანი, რომ უდაბლესიდან უმაღლესისაკენ განვითარება მიმდინარეობს არა მოვლენათა ჰარმონიული განვითარების წესით, არამედ წინააღმდეგობათა გახსნის წესით, ამ წინააღმდეგობათა საფუძველზე მოქმედ დაპირისპირებულთა ბრძოლის წესით.

განვითარების როგორც დაპირისპირებულთა ბრძოლის პროცესების შინაგანი შინაარსის განხილვა, პროცესების წინააღმდეგობის შესწავლა ვ. ი. ლენინს მატერიალისტური დიალექტიკის არსად, ბირთვად მიაჩნდა. „საკუთარი აზრით, — წერს იგი, — დიალექტიკა არის შესწავლა წინააღმდეგობისა **საგანთა თვით არსში**...“ („ფილოსოფიური რვეულები“, 1947 წ., გვ. 237).

ფილოსოფიის ისტორიამ, მეცნიერების ისტორიამ, მიგვითითებდა ლენინი, იცის განვითარების ორი ძირითადი დაპირისპირებული კონცეფცია: მეტაფიზიკური და დიალექტიკური. პირველი განვითარებას განიხილავს საგნების მხოლოდ როგორც უბრალო რაოდენობრივ გადიდებას ან შემცირებას და მოძრაობის წყაროს ხედავს არა თვით პროცესებში, არამედ მათ გარეთ, ე. ი. მოძრაობის წყაროდ საბოლოო ანგარიშით მიიჩნია რომელიღაც ზებუნებრივი, არამატერიალური ძალა. ამას გარდუვალად მივყავართ რელიგიურ იდეამდე პირველმიზეზის შესახებ. სამყაროს შემოქმედის შესახებ და სხვ. განვითარების მეორე კონცეპცია — დიალექტიკური — უკუაგდებს, როგორც ანტიმეცნიერულს, იდეებს „თავდაპირველი ბიძგის“ შესახებ, „ღვთაებრივი ძალის“ შესახებ და გვიჩვენებს, რომ მოძრაობისა და განვითარების წყაროა არა მატერიის გარეთ, არამედ თვით მატერიაში, ე. ი. მოძრაობას განიხილავს როგორც თვითმოძრაობას, როგორც დაპირისპირებულთა ბრძოლას.

განვითარების მხოლოდ დიალექტიკური, მარქსისტული თეორიაა ნამდვილი მეცნიერული თეორია, ვინაიდან იგი სწორად ასახავს ობიექტური სამყაროს განვითარების ნამდვილ მსვლელობას.

მარქსიზმ-ლენინიზმმა ცხადყო განვითარების მეტაფიზიკური, ვულგარულ-ევოლუციონისტური თეორიის სრული უნიადაგობა. ბუნებასა და საზოგადოებაში განვითარების რეალური პროცესი, რომელსაც სულ უფრო ღრმად სწვდება მეცნიერება, სავსებით ადასტურებს დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებას იმის შესახებ, რომ საგნებისა და მოვლენების, მათი მოძრაობისა და ცვლილების სწორად შეცნობა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ გამოვამჟღავნებთ მათს დამახასიათებელ შინაგან წინააღმდეგობებს, ამ წინააღმდეგობათა ბრძოლას.

I.

დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონს უნივერსალური, საყოველთაო ხასიათი აქვს. იგი მოქმედებს ბუნებაში, საზოგადოებასა და აზროვნებაში. ამ კანონის ცოდნა ხელთ გვაძლევს ხელმძღვანელ ძაფს იმისათვის, რომ ჩავწვდეთ მოძრაობის, განვითარების თვით არსს, გვესმოდეს ობიექტური სამყაროს კონკრეტულ წინააღმდეგობათა ბუნება.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მონაცემები უცილობლად ამტკიცებენ, რომ ბუნების მოვლენებსა და საგნებს ობიექტურად ახასიათებს შინაგანი წინააღმდეგობანი, ვინაიდან ყველა მათგანს აქვს თავისი უარყოფითი და დადებითი მხარე, თავისი წარსული და მომავალი, თავისი დრომოჭმული და განვითარებადი. ამ დაპირისპირებულთა ბრძოლა წყაროა მოძრაობისა, განვითარებისა ბუნებაში.

მატერიის ყოველი მოძრაობა შინაგანად წინააღმდეგობრივია. მისი უმარტივესი ფორმა — მექანიკური მოძრაობა — არის განუწყვეტლობისა და წყვეტილობის ერთიანობა დროსა და სივრცეში, მოქმედებისა და უკუქმედების ერთიანობა. უკვე მარტივი მექანიკური გადანაცვლება, აღნიშნავდა ენგელსი, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმის გამო, რომ სხეული დროის ერთსა და იმავე მომენტში იმყოფება მოცემულ ადგილზე და ამავე დროს — სხვა ადგილზე.

მცენარეთა და ცხოველთა სიცოცხლე დაფუძნებულია ნივთიერებათა გაცვლაზე, რომელიც თავისი ხასიათით წინააღმდეგობრივია, და ორგანიზმის ისეთი დაპირისპირებული ფუნქციების ურთიერთქმედებაზე, როგორიც არის ნივთიერების შეთვისება და გამოყოფა, როგორიც არის უჯრედების გაჩენა და კვდომა. სახეთა განვითარება წინააღმდეგობრივი მხარეების — მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის ერთიანობაა. მათგან, როგორც ენგელსი აღნიშნავს, პირველი შეიძლება განისაზღვროს როგორც კონსერვატიული, მეორე კი — როგორც რევოლუციური. ეს ორი მხარე ერთმანეთისაგან იზოლირებული როდია, როგორც ამას სახავენ ვეისმანისტ-მორგანისტები, არამედ განუყოფელად დაკავშირებულია ურთიერთთან. შინაგანად წინააღმდეგობრივია ორგანულ არსებათა სიცოცხლის ისეთი რთული დარგიც, როგორიც ნერვული სისტემის მოქმედებაა. როგორც დიდმა რუსმა მეცნიერმა ი. პ. პავლოვმა გვიჩვენა, ორი დაპირისპირებული ფაქტორის — გაღიზიანებისა და დამუხრუჭების ურთიერთქმედება ახასიათებს ადამიანთა ნერვული, ფსიქიკური მოქმედების ფიზიოლოგიურ საფუძველს.

შინაგანი წინააღმდეგობანი ახასიათებს არა მარტო ბუნების მოვლენებს, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებსაც და აქ ისინი გვეელინებიან ჯერ როგორც განვითარების, უდაბლესიდან უმაღლესზე, ძველიდან ახალზე გადასვლის მამოძრავებელი ძალა. ყოველი ანტაგონისტური საზოგადოება არის ერთიანობა სხვადასხვა კლასებისა დაპირისპირებული ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი ინტერესებით. შაგალითად, კაპიტალიზმი არის ორი ძირითადი დაპირისპირებული კლასის — პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ერთიანობა. ამ კლასებს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა განპირობებულია მათი სხვადასხვა მდგომარეობით საზოგადოებრივი წარმოების სისტემაში.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში დაპირისპირებულთა ერთიანობა და ბრძოლა ყველაზე მკაფიოდ მეფავნდება კლასობრივი ბრძოლის ფორმით, რომელიც განსაკუთრებით მწვავდება იმპერიალიზმის ეპოქაში. კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას გარდუვალად მოსდევს პროლეტარული რევოლუცია, ექსპლატატორული წყობილების დაღუპვა, პროლეტარიატის დიქტატურა და ახალი, სოციალისტური წყობილების შექმნა.

ამრიგად, ობიექტური სამყაროს ყველა საგანი და მოვლენა შეიცავს შინაგან წინააღმდეგობებს და წარმოადგენს დაპირისპირებულთა ერთიანობასა და ბრძოლას. დაპირისპირებულთა ერთიანობაზე რომ ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი ობიექტურად არსებობს. ი. ბ. სტალინმა თავის ნაშრომში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ გააკრიტიკა მარქსიზმის ვულგარიზატორები, რომლებსაც ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესთა დაპირისპირებულობა, მათი გაათერებული კლასობრივი ბრძოლა მიაჩნიათ საზოგადოების დაშლად, მტრულ კლასებს შორის ყოველგვარი კავშირის გაწყვეტად. „სანამ კაპიტალიზმი არსებობს, — აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი, — ბურჟუები და პროლეტარები დაკავშირებული იქნებიან ერთმანეთთან მთელი ეკონომიკით, როგორც ერთიანი კაპიტალისტური საზოგადოების ნაწილები“ („მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“; სახელმწიფო გამომცემლობა. 1954 წ. გვ. 16).

მაგრამ დაპირისპირებულთა ერთიანობას, ესე იგი მათს ურთიერთკავშირს, შეფარდებითი, დროებითი ხასიათი აქვს. განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაპირისპირებულთა არა ერთიანობას, არამედ ბრძოლას. სტატიაში „დიალექტიკის საკითხისათვის“ ლენინი წერდა, რომ „დაპირისპირებულთა ერთიანობა (დამთხვევა, იგივეობა, ტოლქმედება) პირობითი, დროებითი, გარდამავალი, რელატიურია. ურთიერთგამომრიცხველ დაპირისპირებულთა ბრძოლა აბსოლუტურია, როგორც აბსოლუტურია განვითარება, მოძრაობა“ („ფილოსოფიური რვეულები“, 1947 წ. გვ. 328).

ლენინიზმის ამ საგულისხმო დებულებას უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. იგი გვასწავლის კი არ ვჩქმალავდეთ წინააღმდეგობებს, არამედ ბოლომდე ვაშკარავებდეთ მათ. ყველა ჯურის სოციალ-რეფორმისტები ყოველნაირად აზვიადებენ და ხახს უსვამენ დაპირისპირებულთა ერთიანობას, განმარტავენ მას როგორც დაპირისპირებულთა შერიგებას. ამას იმ მიზნით აკეთებენ, რომ „ფილოსოფიურად დაასაბუთონ“ კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა მიჩქმალვის, პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის კლასობრივი ბრძოლის მიფუჩეჩების მემარჯვენე სოციალისტური გამცემლური პოლიტიკა. მაგალითად, ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი — მორგან ფილიპსი პირდაპირ აცხადებს: ინგლისელმა ლეიბორისტებმა „გადაჭრეთ უარყვეს მარქსიზმი და კლასობრივი ბრძოლა ყველა ფორმითა და გამოვლინებით“. მაგრამ ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე უარყოფს მარქსიზმის მტრების მონაქორებს კლასობრივ ინტერესთა ჰარმონიის შესახებ და სავსებით ადასტურებს მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებას კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა რევოლუციური გადაჭრის შესახებ, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ინტერესების შეურიგებლობის შესახებ, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის როგორც სოციალიზმის საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნის მძლავრი იარაღის შესახებ.

მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი, რომელიც გვიჩვენებს განვითარების წყაროს საზოგადოების ცხოვრების რეალურ წინააღმდეგობებში, აიარაღებს მშრომელებს ძველ სამყაროს ძალების რევოლუციური დაძლევისა და ახალი, კომუნისტური სამყაროს მშენებლობისათვის საბრძოლველად.

II.

როგორც ბუნებაში, ისე საზოგადოებაში განვითარების პროცესების სირთულე გამოიხატება სხვადასხვაგვარ წინააღმდეგობათა შეხამებითა და გადახლართვით. წინააღმდეგობანი შეიძლება იყოს შინაგანი და გარეგანი. შინაგანი ის წინააღმდეგობებია, რომლებიც ახასიათებს ბუნებისა და საზოგადოების თვით საგნებსა და მოვლენებს. გარეგანი ის წინააღმდეგობებია, რომლებიც წარმოიშობა ერთმანეთთან დაკავშირებულ საგნებსა და მოვლენებს შორის.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის არ მოვწყვიტოთ შინაგანი წინააღმდეგობანი გარეგან წინააღმდეგობებს, განვიხილოთ ისინი დიალექტიკურ ერთიანობაში, ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში. შინაგანი წინააღმდეგობანი განმსაზღვრელია განვითარების პროცესში. მათს ბაზაზე წარმოიშობიან, როგორც წესი, გარეგანი წინააღმდეგობანი, რომლებიც თავის მხრივ ზემოქმედებას ახდენენ განვითარების შინაგან პროცესებზე. მაგალითად, არ შეიძლება სწორად, მეცნიერულად განვსაზღვროთ მცენარეთა და ცხოველთა განვითარების კანონზომიერებანი, თუ არ გავითვალისწინეთ მათზე გარეშე პირობების, გარემოს ზემოქმედება. ორგანიზმის მოწყვეტა გარემოსაგან დამახასიათებელია ვეისმანისტ-მორგანისტების იდეალისტური, ცრუმეცნიერული დებულებებისათვის.

აწყობდა რა სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში, კომუნისტური

სამუხის საზამთრო საძოვრებზე

საქართველოს სს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის (წითელწყაროს რაიონი) ცხვრის ფარები იმყოფებიან სამუხის საზამთრო საძოვრებზე (საქართველოს სსრ), აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის საზღვართან.

გუშინ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა სამუხში საზამთრო საძოვრებზე ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს და ესაუბრა მათ პირუტყვის გამოზამთრების, დოლის მიმდინარეობის, მეცხოველეთა საყოფაცხოვრებო პირობების საკითხებზე.

ტელეფონთან მოვიდა საბჭოთა მეურნეობის საჯიშე ცხვრის ფერმის გამგე ამხ. ი. ჩარაშვილი.

კორესპონდენტი: გამარჯობათ, ამხ. ჩარაშვილო! როგორი ამინდია ამჟამად საზამთრო საძოვრებზე?

ჩარაშვილი: ასეთი კარგი ამინდი, როგორიც ახლაა, მწყემსებს უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე არ ახსოვთ. ეს ხელს უწყობს გამოზამთრების წარმატებით დამთავრებას, დოლის სანიმუშოდ ჩატარებას.

კორესპონდენტი: როგორ მიმდინარეობს თქვენს ფერმაში დოლი?

ჩარაშვილი: დოლი საუკეთესოდ მიმდინარეობს. დადოლებული 4.341 სული დედაცხვრიდან უკვე მიღებულია 4.417 ბატკანი, აქედან 76 ბატკანი ტყუპის ცალია. დასადოლებელია კიდევ 460 სული დედაცხვარი. ვფიქრობთ, დოლი მთლიანად 1 აპრილისათვის დავამთავროთ. წარმატებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დოლისათვის სანიმუშოდ მომზადებამ. ჯერ კიდევ პირუტყვის გამოზამთრების დაწყებამდე კარგად შევაკეთეთ და დავთბუნეთ სადგომები, მოვიმარაგეთ საჭირო საკვები.

კორესპონდენტი: ხომ არ არის დედაცხვრის ან ბატკნის სიკვდილიანობის შემთხვევები?

ჩარაშვილი: დედაცხვრისა და ბატკნების სიკვდილიანობის შემთხვევები არ ყოფილა. დედაცხვარს უხვად აქვს რძე და მსუქნად არის. ბატკნებიც ჯანსაღად არიან. ზოგიერთი ორი თვის ბატკანი 25 კილოგრამს იწონის. ქართული ნაზმატყლიანი დუმიანი დედაცხვრის წონა 78 კილოგრამს აღემატება, ხოლო ზოგიერთი ყოჩის წონა 120 კილოგრამს აღწევს.

კორესპონდენტი: გვიამბეთ მოწინავე მეცხოველეთა საქმიანობაზე.

ჩარაშვილი: მოწინავე მეცხოველე ბევრი გვყავს, მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია 1954 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე მეცხვარეობის ბრიგადირი მ. რობიტაშვილი, რომელმაც ყოველ 100 დედაცხვარზე მიიღო 104 ბატკანი და მთლიანად შეინარჩუნა ეს ნამატი. მ. რობიტაშვილმა მოიპოვა სპატიო უფლება წელსაც იყოს გამოფენის მონაწილე. მას სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს 1954 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ა. მამედოღლი, რომელმაც ყოველ 100 სულ დედაცხვარზე მიიღო 103 ბატკანი. მოწინავეთა რიგებში არიან აგრეთვე მწყემსები ა. კეგიანი, მამა-შვილი კონსტანტინე და ირაკლი მარსაგიშვილები და სხვ.

ჩვენი ფერმის მუშაკები პარტიის ც. კ.-ის იანვრის პლენუმის დადგენილებას ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ. მათ მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს: ყოველ 100 დედაცხვარზე ასხლეტამდე შეინარჩუნონ 105 ბატკანი ნაცვლად 90-სა, რაც გეგმით არის გათვალისწინებული, თვითეულ ცხვარზე 3,3 კილოგრამის ნაცვლად მიიღონ 4 კილოგრამი მატყლი. ამ ვალდებულებათა უკეთ შესრულების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩავებით ჩვენი მეურნეობის პირველ ფერმასთან. მთლიანად მეურნეობა კი ეჯიბრება ბაშკიჩეთის საბჭოთა მეურნეობას.

კორესპონდენტი: რა ღონისძიებებს ახორციელებთ პირუტყვის ჯიშიანობის გასაუმჯობესებლად?

ჩარაშვილი: ჩვენს მეურნეობაში, ძირითადად ახალი ქართული ნაზმატყლიანი დუმიანი ჯიშის ცხვარია, რომელიც ჩვენი მეურნეობის ზოოტექნიკოს-სელექციონერის ივ. ბაძოშვილის მიერ არის გამოყვანილი. ამ ჯიშის პირუტყვმა საერთო მოწონება დაიმსახურა. მისი უპირატესობა ის არის, რომ აქვს დიდი ცოცხალი წონა, ხასიათდება მატყლის მაღალი გამოსავლიანობით და მაღალი ხარისხით, გემრიელი ხორცით, იტანს შორ მანძილზე გადარეკვას. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ამ ჯიშის შემდგომი სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიან მეორე ფერმაში 1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ექსპონატებს — 20 სულამდე ცხვარს.

კორესპონდენტი: როგორ ემზადებით პარსვისა და ცხვრის საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვისათვის?

ჩარაშვილი: წელს ცხვრის პარსვა მთლიანად მექანიზებული იქნება. ახლა წესრიგში მოგვყავს ელექტროსპარსი აგრეგატები, ვამზადებთ შენობებს, სადაც ელექტროპარსვა იწარმოებს. გვყავს მექანიზატორთა კვალიფიციური კადრები. გაცხოველებული ტემპით ვეწევით სატრანსპორტო საშუალებათა შეკეთებას მთაში გასამგზავრებლად.

კორესპონდენტი: როგორია მწყემსთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, რა დახმარება გესაჭიროებათ ამ მხრივ?

ჩარაშვილი: მწყემსთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები არასახარბიელოა, რაშიაც ძირითადად ბრალი მიუძღვით საქართველოს სსრ კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს, „აცეკავშირს". გვაკლია პირველი მოთხოვნილების საგნები, ინვენტარი და მასალები. მწყემსებისათვის არ ეწყობა ლექციები, მოხსენებები. იშვიათად უჩვენებენ კინოსურათებს, არ მუშაობენ აგიტმხატვრული ბრიგადები. საჭიროების შემთხვევაში 80 კილომეტრზე გვიხდება საექიმო პუნქტში წასვლა. მართალია, უკანასკნელ დროს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ და წითელწყაროს რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა ერთგვარად გააუმჯობესეს საზამთრო საძოვრებზე მყოფი მეცხოველეებისადმი დახმარება, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა მათ მეტი კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება გაგვიწიონ.

კორესპონდენტი: გმადლობთ, ამხ. ჩარაშვილო, საუბრისათვის. გადაეცით ჩვენი სალამი მეურნეობის მეცხოველეთა კოლექტივს.

ჩარაშვილი: გადაეცით ჩვენი მხურვალე სალამი საქართველოს მშრომელებს. ჩვენი კოლექტივის სახელით პირობას ვიძლევით პირნათლად განვახორციელოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველი დავალება, მივცეთ სამშობლოს მეტი ხორცი, რძე, ყველი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები.

* * *

ამხ. ჩარაშვილის გარდა გაზეთ „კომუნისტის" თანამშრომელი სამუხში ესაუბრა აგრეთვე ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის პირველი და მესამე ფერმების გამგეებს ამხ. ნ. ნაჩუკებაძეს და ი. მარგველაშვილს. მათი ნაამბობიდან ჩანს, რომ ამ ფერმებშიც ცხვრის გამოზამთრება და დოლი კარგად მიმდინარეობს.

სოფლის ამბები

ერთი კოლმეურნეობის ახალმშენებლობანი

დიდი მშენებლობაა გაჩაღებული ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. ახლახან დამთავრდა 87 სულის ტევადობის მექანიზებული სავაჭრო ქსელი ცოტა და ტიპური სახბორეს, 2 სასილოსე კოშკის მშენებლობა. მთავრდება სასოფლო კლუბისა და კანტორის შიდა მოპირკეთება. მომზადებულია საშენი მასალა ტიპური საწყლელეს ასაგებად. კოლმეურნეობის ახალმშენებლობათა საჭიროებისათვის გასულ წელს ამუშავდა ხე-ტყის სახერხი ქარხანა, ხოლო ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა აგურის ქარხანა.

ი. ჩიტაშვილი.

კულტურისა და დასვენების ახალი პარკი

ლენინგორში დაიწყო კულტურისა და დასვენების ახალი პარკის მშენებლობა. პარკში დაირგვება 4.000 ძირი დეკორაციული, ფოთლოვანი და მარადმწვანე მცენარე, რომელთა ნაწილი მოაქვთ სოხუმიდან, გალიდან და მახარაძიდან. გარშემო კეთდება ქარსაცავი ზოლი.

პარკში მოეწყობა საცეკვაო მოედანი, სახეირნო ხეივნები, აუზი შადრევნით და სხვ.

რაიონული ცენტრის მუშა-მოსამსახურეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მშენებლობაში.

ი. თედიაშვილი.

ახალი მაღაზიები

თანდათან ფართოვდება მახარაძის რაიონის სავაჭრო ქსელი. გასულ წელს ბევრი ახალი სავაჭრო-მაღაზია გაიხსნა ქალაქად და სოფლად. ამას წინათ მერიის სოფლის კოოპერატივმა სოფელ კონეკეთში გახსნა ახალი კეთილმოწყობილი მაღაზია, რომელიც უზრუნველყოფილია სხვადასხვა სამრეწველო საქონლით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, სასურსათო პროდუქტებით, საოჯახო ავეჯით.

ბ. ჩხაიძე.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

მესტია. (საკ. კორ.). მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში თავმოყრილია ისტორიისა და ყოფაცხოვრების ამსახველი ბევრი ძვირფასი ექსპონატი.

მუზეუმში დაცულია ბრინჯაოს ხანის იარაღები და სამკაულები, სვანეთში ჩამოსხმული ბრინჯაოს ნივთები, რაც იმის დამამტკიცებელია, რომ სვანეთში ჯერ კიდევ ადრინდელ პერიოდში მეტალურგიული წარმოება ფართოდ იყო განვითარებული.

მდიდრად არის წარმოდგენილი ფეოდალური ხანის ხელოვნების ისტორიული ძეგლები, ოქროსა და ვერცხლის მჭედლობისა და ფერწერის ნიმუშები, რაც IX-XVIII საუკუნეებს მიეკუთვნება. აღსანიშნავია მოოქროვილი სურა, რომელიც XI საუკუნის ხელოვნებას მიეკუთვნება. აქვეა დაცული ქალისა და მამაკაცის ადგილობრივ ნაკეთები ძვირფასი სამკაულები.

სახრძოლო იარაღების კოლექციიდან დაცულია ადგილობრივი ნაკეთობის ლახტები, სამხრეთალიანი მშვილდები, კაჟიანი თოფები, თოფის ლულის გასასწორებელი და სახელოვანი დაზგა.

მუზეუმში გამოფენილია საბჭოთა პერიოდის სვანეთის ამსახველი ექსპოზიციები. ყურადღებას იპყრობს სურათები — „საბჭოთა კავშირის გმირის იოსელიანის ჩამოსვლა საშობლო სოფელში". „1942 წელი კავკასიონზე", „შეხვედრა გამარჯვებულთან", „უშბა-შხელდის ტრაკერსი", „მესტიის კოლმეურნეობის ფერმა" და სხვ.

ვაჭრობის მოწინავე მუშაკები

საბჭოთა ვაჭრობის მუშაკის მოვალეობაა დაეუფლოს ვაჭრობის წესებს, თავაზიანად და კულტურულად მოემსახუროს მომხმარებლებს, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საქონლებრუნვის გეგმის შესრულებას. ჩვენი რესპუბლიკის სავაჭრო ქსელში ცოტა როდი გვყავს ისეთი ადამიანები, რომლებმაც თავიანთი პატიოსანი და კეთილსინდისიერი შრომით ვაჭრობის მოწინავე მუშაკის სახელი მოიხვეჭეს.

მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 2 მაღაზიაში უფროს გამყიდველად მუშაობს ზინაიდა ბოგდანოვა. მან მომხმარებლებში საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ამავე მაღაზიის დახლის მუშაკს ნიკოლოზ თუშიშვილს მომხმარებელი იცნობს როგორც თავისი საქმის მოყვარულს. ვაჭრობის დარგში მუშაობის მრავალი წლის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას უხეშობა გამოეჩინოს მომხმარებლისადმი. ის ჯერ გამყიდველად მუშობდა. 1952 წელს ფრიადზე დაამთავრა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რის შემდეგ დაწინაურებულ იქნა უფროს გამყიდველად. ვაჭრობის დარგში სპეტაკი მუშაობისათვის სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ 1951 წელს იგი დაჯილდოვა „საბჭოთა ვაჭრობის წარჩინებულის ნიშნით".

ონიკ პოპოვიჩი 1931 წლიდან ვაჭრობის დარგში მუშაობს. სამამულო ომის შემდეგ ფრონტიდან რომ დაბრუნდა, კვლავ სავაჭრო ქსელში დაიწყო მუშაობა. ახლა იგი დახლის მოწინავე მუშაკია და ამავე დროს ეწევა სასარგებლო საზოგადოებრივ მუშაობას, არჩეულია მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 2 მაღაზიის ადგილკომის თავმჯდომარედ. ასევე კარგად იცნობენ მომხმარებლები თბილკვებვაჭრობის მე-5 სასურსათო მაღაზიის პირველი კატეგორიის კამეოელ-ნაწილ-მაზავაშვილს, რომელიც [illegible] ტემაში 1944 წლიდან მუშაობს.

[illegible] ხმიერი, თავისი საქმის მოყვარული — ასე ახასიათებენ მომხმარებლები ამავე მაღაზიის სექციის გამგეს ამხ. არტემ ამოზაშვილს. მას მუშაობაში როდი ჩამოუვარდება ამავე მაღაზიის საბაკალეო სექციის გამგე კომუნისტი ამხ. ვახტანგ ქეთხოშვილი, რომელიც გულისხმიერად ზრუნავს მომხმარებელთა უკეთესი მომსახურებისა და საქონელბრუნვის გეგმის შესრულებისათვის.

№ 56 სასურსათო მაღაზიის მთელი კოლექტივი (დირექტორი დ. შენგელია) მონდომებით იბრძვის სანიმუშო ვაჭრობისა და საქონელბრუნვის გეგმის შესრულებისათვის და წარმატებასაც მიაღწია. ამ კოლექტივმა გასული წლის მეოთხე კვარტალის გეგმა 110,7 პროცენტით შეასრულა, ხოლო დაგროვების გეგმა — 132,4 პროცენტით. ამასთან ბრუნვის ხარჯები 2.200 მანეთით შეამცირა. ამ მაჩვენებლების მიხედვით მაღაზიის კოლექტივმა დაიმსახურა მარჯვენა ნაპირას თბილკვებვაჭრობის დირექციის და პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ახლა მაღაზიის კოლექტივი იბრძვის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საქონელბრუნვის გეგმის შესრულებისა და გარდამავალი წითელი დროშის შენარჩუნებისათვის.

ვაჭრობის აღნიშნული მოწინავე მუშაკები მიღწეულით არ უნდა დაკმაყოფილდნენ. მომხმარებელთან გულისხმიერი მოპყრობით, ვაჭრობის წესების მტკიცედ დაცვით მათ მშრომელთა კიდევ უფრო მეტი სიყვარული და პატივისცემა უნდა დაიმსახურონ.

ი. ბეჟანიძე.

ქარელელი კოოპერაციორების წამოწყება

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ქარელის რაიონული კავშირის მუშაკებმა კარგი ინიციატივა გამოიჩინეს. მათ იკისრეს წელს გააძლიერონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება და შესყიდვა, დახმარება გაუწიონ კოლმეურნეებს ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საკომისიო ვაჭრობის ქსელში გამოსატანად. კოოპერატორებმა იკისრეს წელს ამ რაიონიდან თბილისის კოოპერაციული ვაჭრობის საკომისიო მაღაზიებში გასაყიდად გამოიტანონ 300 ტონაზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ნაცვლად შარშან გამოტანილი 100,5 ტონისა.

ქარელელმა კოოპერატორებმა მიმართეს რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონული კავშირების კოლექტივებს ჩაებან მათთან სოციალისტურ შეჯიბრებაში უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

ცეკავშირის გამგეობამ და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მოიწონეს ქარელელების ეს წამოწყება და წინადადება მისცეს რაიკავშირების კოლექტივებს მიბაძონ მათს მაგალითს.

ფულადი პრემია მეაბრეშუმეებს

ცხაკაია. (საკ. კორ.). ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ყოველწლიურად მოჰყავთ აბრეშუმის უხვი მოსავალი. შარშან კოლმეურნეებმა სახელმწიფოს 5.719 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი ჩაბარეს და გეგმა 104 პროცენტით შეასრულეს, რისთვისაც მეაბრეშუმეებს 21.348 მანეთი პრემია მიეცა.

ნოვატორმა მეაბრეშუმემ ნ. არახამიამ, რომელიც ქისტაურელთა მეთოდით მუშაობს, სახელმწიფოს 128 კილოგრამი პარკი ჩაბარა, ნაცვლად 46,6 კილოგრამისა და გეგმა 280 პროცენტით შეასრულა. ამისათვის მას 222 შრომადღე დაერიცხა და პრემიის სახით 1.597 მანეთი მიეცა. მეაბრეშუმე ქ. ხუციელავას პრემიის სახით 1.618 მანეთი ერგო, მ. არახამიას — 1.499 მანეთი.

სულ კოლმეურნეობაში ფულადი პრემია მიიღო 71 მეაბრეშუმემ.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„რაიკომი და პირველადი ორგანიზაცია"

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტის" 14 დეკემბრის ნომერში დაბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ გარდაბნის რაიონის ყარაიის მერძეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს, იგი მოკლებულია ხელმძღვანელობასა და დახმარებას პარტიის რაიკომის მხრივ. პარტიული ორგანიზაცია სწორად ვერ ახორციელებს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას. ჩაშლილია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. იშვიათად იმართება ლექციები, მოხსენებები.

როგორც პარტიის გარდაბნის რაიკომი გვატყობინებს, კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით მთლიანად დადასტურდა. რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ლ. ბაგდადიანი განთავისუფლებულია ამ დავალებისაგან და გამოცდადებული აქვს საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელად დამტკიცებულია მერძეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ა. ნადირაშვილი.

პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგეს ს. ყულიევს და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს მ. ნასიბოვს პარტიული ორგანიზაციისათვის სუსტი დახმარების გამო მიეთითათ.

რაიკომის ბიურომ დააყენა საკითხი საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს წინაშე 1955 წლის გეგმაში გაითვალისწინოს 8 სტანდარტული საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ყარაიის მერძეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ა. ნადირაშვილი.

პარტია ზუსტად გამიჯნავდა სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის შინაგან და გარეგან მხარეს. პირველი მხარე მოიცავდა კლასთა ურთიერთდამოკიდებულებას ქვეყნის შიგნით, წინააღმდეგობებს მათ შორის. მეორე მხარე მოიცავდა გარეგანი ურთიერთობის სფეროს, საბჭოთა ქვეყანასა და კაპიტალისტურ გარემოცვას შორის წინააღმდეგობათა სფეროს. პარტია ამასთან ეყრდნობოდა იმას, რომ სსრ კავშირის მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას საესებით შეუძლიათ სძლიონ ეკონომიურად თავიანთ საკუთარ ბურჟუაზიას და ააშენონ სრული სოციალისტური საზოგადოება. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას სსრ კავშირში, ვინაიდან ეს გამარჯვება შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლიკვიდირებული იქნება კაპიტალისტური გარემოცვა და ამასთან დაკავშირებით გაქრება ინტერვენციის საფრთხე.

წინააღმდეგობანი საზოგადოებაში არის ანტაგონისტური და არაანტაგონისტური. ანტაგონისტური წინააღმდეგობანი დაკავშირებულია დაპირისპირებული კლასების არსებობასთან, და ამიტომ ასეთი წინააღმდეგობანი მეურიგებელად მტრულია. ისინი გარდუვალად იწვევენ სოციალურ კონფლიქტებს, კლასობრივ შეჯახებებს და საბოლოო ანგარიშით მათი დაძლევა ხდება მხოლოდ ძალდატანებითი, რევოლუციური გზით. საზოგადოების ძველი, დრომოჭმული ძალები გაფთრებით იცავენ თავიანთ პრივილეგიებს, დაუპვის გზაზე მდგომ წყობილებას, და მხოლოდ სოციალურ რევოლუციას ძალუძს მოაშოროს ისინი გზიდან და ამრიგად გადაეჩვას ექსპლოატატორული საზოგადოების ანტაგონისტური წინააღმდეგობანი. ბურჟუაზიის ის ცდები, რომ გამოსავალი გამონახოს იმპერიალიზმის სულ უფრო გამწვავებული წინააღმდეგობებიდან ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებისა და მმართველობის ტერორისტული, ფაშისტური მეთოდების დამყარების გზით, კლასობრივი ანტაგონიზმების მხოლოდ გაძლიერებასა და გამწვავებას იწვევენ.

სოციალიზმის გამარჯვებით, ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციით სოციალური ანტაგონიზმები ისპობა. მაგრამ წინააღმდეგობანი რჩებიან სოციალიზმის დროსაც, ვინაიდან ისინი ყოველი განვითარების მამამძრავებელ ძალას შეადგენენ. სსრ კავშირში ანტაგონისტური კლასები აღარ არიან, დამკვიდრდა საზოგადოების ურყევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. მაგრამ საბჭოთა საზოგადოების წინსვლითი განვითარებაც კომუნიზმის გზით ხორციელდება წინააღმდეგობათა წარმოშობისა და გადალახვის წესით, წინააღმდეგობათა ბრძოლის წესით. სოციალიზმის პირობებშიც ახალი იზრდება და მკვიდრდება შეუპოვარ ბრძოლაში ძველთან, დრომოჭმულსა და მომაკვდავთან.

„ჩვენში, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — ყოველთვის რაიმე კვდება ცხოვრებაში. მაგრამ იმის, რაც კვდება, არ სურს მოკვდეს უბრალოდ, არამედ ის იბრძვის თავისი არსებობისათვის, იცავს თავის დრომოჭმულ საქმეს.

ჩვენში ყოველთვის იბადება ახალი რამ ცხოვრებაში. მაგრამ ის, რაც იბადება, იბადება არა უბრალოდ, არამედ ჭყივის, კივის, იცავს თავის არსებობის უფლებას.

ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, მომაკვდავსა და ახლადწარმოშობილს შორის, — აი ჩვენი განვითარების საფუძველი" (თხზ., ტ. 10, გვ. 355).

სოციალიზმის დროს წინააღმდეგობათა ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენენ კაპიტალიზმის გადმონაშთები ადამიანთა შეგნებაში. სსრ კავშირში განუყოფლად ბატონობს სოციალისტური იდეოლოგია, საბჭოთა ადამიანების უდიდესი უმრავლესობა სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებია, რომელნიც უსაზღვროდ ერთგულნი არიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, კომუნიზმის საქმისადმი. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომელთა შეგნებაში ცოცხალია ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთები, კერძომესაკუთრეული ფსიქოლოგიისა და მორალის გადმონაშთები. ეს იხსნება როგორც ადამიანთა შეგნების ჩამორჩენით სოციალისტური ყოფისაგან, ისე კაპიტალისტური გარემოცვის არსებობით, რომელიც ცდილობს ყოველნაირად გააღვივოს და გააძლიეროს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთები ჩვენს ქვეყანაში, თავის ბადეში მოაქციოს საბჭოთა საზოგადოების გახრწნილი და მერყეები ელემენტები.

კომუნისტური პარტია მტკიცე ბრძოლას ეწევა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის ყველა და ყოველნაირ გამოვლინებათა წინააღმდეგ, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს იდეოლოგიურ მუშაობას, რომელიც მიმართულია მშრომელთა კომუნისტური აღზრდისაკენ, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების სრული აღმოფხვრისაკენ.

სოციალიზმის დროს არსებობს წარმოებითი ურთიერთობის სრული შესაბამისობა საწარმოო ძალების ხასიათისადმი. მაგრამ ამ შესაბამისობის ფარგლებში წინააღმდეგობებიც არის, ვინაიდან წარმოებითი ურთიერთობა სოციალიზმის დროსაც ჩამორჩება თავის განვითარებაში საწარმოო ძალების განვითარებას, საწარმოო ძალებისა, რომლებიც წარმოების ყველაზე მოძრავ და რევოლუციურ ელემენტს წარმოადგენენ. ამის გამო სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის ცალკეული მხარეები ძველდებიან და გაზრდილ საწარმოო ძალებთან წინააღმდეგობაში ექცევიან. მაგალითად, ომისშემდგომ პერიოდში თავი იჩინა წინააღმდეგობამ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მნიშვნელოვნად გაზრდილ დონესა და წვრილ მეურნეობებში წარმოების მასშტაბებს შორის. წვრილ მეურნეობებს არ შეეძლოთ საკმაოდ ეფექტიანად გამოეყენებინათ ახალი, რთული ტექნიკა. ეს წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილების გზით, რამაც შექმნა უფრო ფართო შესაძლებლობანი სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებისათვის.

სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის — სახელმწიფო (საყოველთაო-სახალხო) და საკოლმეურნეო-კოოპერაციული (ჯგუფური) ფორმების — არსებობა განსაზღვრავს ერთგვარ კლასობრივ განსხვავებას მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობას შორის, აგრეთვე არსებით განსხვავებას ქალაქსა და სოფელს შორის. ამ განსხვავების დაძლევა ხდება სოციალისტური საკუთრების ორივე ფორმის შემდგომი ზრდისა და განმტკიცების გზით, საკუთრების საყოველთაო-სახალხო, სახელმწიფოებრივი ფორმის ხვედრითი წონისა და წამყვანი როლის განუხრელ აღმავლობასთან ერთად.

ამრიგად, საბჭოთა საზოგადოების განვითარება ხდება წინააღმდეგობათა დაძლევის მეშვეობით ძველსა და ახალს შორის ბრძოლის გზით. მაგრამ ძველსა და ახალს შორის წინააღმდეგობათა დაძლევა სოციალიზმის დროს ხდება პრინციპულად სხვანაირად, ვიდრე კაპიტალიზმის დროს. თუ კაპიტალიზმის პირობებში ეს წინააღმდეგობანი იწვევენ სოციალურ კატასტროფებს და არსებული წყობილების რევოლუციური გზით დამხობას, სოციალიზმის დროს ეს წინააღმდეგობანი გადაიჭრებიან არსებული წყობილების ბაზაზე და იწვევენ მის არა შესუსტებას, არამედ შემდგომ განმტკიცებას, სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლას.

კომუნისტური პარტია დროულად მიგვითითებს იმ წინააღმდეგობებზე, რომლებიც წარმოიშობიან წარმოების წესში სოციალიზმის დროს, და ეკონომიური კანონების ცოდნაზე დაყრდნობილი სწორი პოლიტიკის მეოხებით სახავს ამ წინააღმდეგობათა გადაჭრის გზებს ისე, რომ საქმე არ მივიდეს კონფლიქტამდე.

სოციალისტური საზოგადოების წინააღმდეგობათა გამოვლინებისა და დაძლევის უმნიშვნელოვანესი მეთოდია კრიტიკა და თვითკრიტიკა. თვითკრიტიკა და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკა კომუნისტური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ნაცადი იარაღია საბჭოთა საზოგადოების წინსვლის შემაფერხებელ ნაკლოვანებათა, შეცდომათა და სხვადასხვა ავადმყოფურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ექსპლოატატორული წყობილების პირობებში თანმიმდევრულ კრიტიკას აუცილებლად მივყავართ იარაღით კრიტიკამდე, რევოლუციამდე, არსებული წყობილების დამხობამდე. საბჭოთა საზოგადოებაში კრიტიკა და თვითკრიტიკა წარმოადგენს სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა და განვითარების იარაღს, იმის საშუალებას, რომ გავშალოთ მასების ინიციატივა, შემოქმედებითი თაოსნობა, დავრაზმოთ ისინი ყოველივე ძველის, მომაკვდავის, რეაქციულის გადასალახავად.

III.

მარქსისტულ დიალექტიკურ მეთოდს უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური პარტიის პრაქტიკული საქმიანობისათვის, როგორც სინამდვილის შეცნობისა და რევოლუციური გზით შეცვლის იარაღს. მნიშვნელოვანი პრაქტიკული დასკვნები გამომდინარეობს მარქსიზმის დებულებიდან განვითარების როგორც დაპირისპირებულთა ბრძოლის შესახებ.

რამდენადაც განვითარება ხდება შინაგან წინააღმდეგობათა გახსნის წესით, ამ წინააღმდეგობათა ბაზაზე დაპირისპირებულ ძალთა შეჯახების წესით, ცხადია, რომ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბუნებრივი და აუცილებელია.

„მაშასადამე, კი არ უნდა ჩქმალავდე კაპიტალისტური წესების წინააღმდეგობებს, არამედ უნდა ააშკარავებდე და ამოხსნიდე მათ, კი არ უნდა აქრობდე კლასობრივ ბრძოლას, არამედ ბოლომდე მიგყავდეს იგი.

მაშასადამე, პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვა, უნდა გაატარო შეურიგებელი კლასობრივი პროლეტარული პოლიტიკა, და არა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ინტერესთა ჰარმონიის რეფორმისტული პოლიტიკა, და არა სოციალიზმში კაპიტალიზმის „შეზრდის" შემთანხმებლური პოლიტიკა" (ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, გვ. 678).

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ პრინციპულ ბრძოლაში არ არის და არც შეიძლება იყოს საშუალო ხაზი. პრინციპები იმარჯვებენ და არა ურიგდებიან ერთმანეთს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი ისტორია თვალსაჩინოდ ადასტურებს მარქსიზმის ამ პრინციპებს. პარტია იზრდებოდა, ვითარდებოდა და იწრთობოდა შეუპოვარ ბრძოლაში მუშათა კლასის მტრებთან, ოპორტუნისტებთან და კაპიტულანტებთან. ლენინიზმის მტრების წინააღმდეგ ამ პრინციპულ, შეურიგებელ ბრძოლაში მან გამოჭედა თავისი რიგების ურღვევი ერთიანობა, დარაზმა თავის გარშემო მშრომელთა მილიონიანი მასები და მიიყვანა ისინი სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებამდე.

საზოგადოებრივი განვითარების კანონების მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით კომუნისტური პარტია გაბედულად ამხილებს კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის წინააღმდეგობებს. მკაცრად და აშკარად აკრიტიკებს რა ნაკლოვანებებს კომუნისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე, პარტია რაზმავს მასებს ჩვენი განვითარების წინააღმდეგობათა და სიძნელეთა დაძლევისათვის, ძველზე ახლის გამარჯვებისათვის საბრძოლველად. პარტია ჩვენს კადრებსა და ყველა საბჭოთა ადამიანს ზრდის ნაკლოვანებებისადმი, ყოველივე დრომოჭმულისა და კონსერვატიულისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების სულისკვეთებით, მკაცრად გმობს პარადულობისა და უდარდელობის განწყობილებებს, კომუნიზმისათვის ბრძოლის წინააღმდეგობათა და სიძნელეთა მიჩქმალვისადმი მისწრაფებას.

კომუნისტური პარტიის ბრძნული პოლიტიკა, მისი უნარი — დროულად გაითვალისწინოს საბჭოთა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების მომწიფებული მოთხოვნილებანი, გამომძღავნოს და დაძლიოს ჩვენი ზრდის წინააღმდეგობანი, უზრუნველყოს ახლის, მოწინავის გამარჯვება სამეურნეო და

ვარშავაში ჩავიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია

ვარშავა, 15 მარტი. (საკდესი). დღეს ვარშავაში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის პრეზიდიუმის მოწვევით სეიმის მეექვსე სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელშიც შედიან: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. მ. საფრონოვი, მ. ა. გრეჩუხა, ვ. ფ. კუპრეევჩი, ვ. ს. ბალაკინა, მ. პ. კაუნაიტე და პ. ბ. ბიკოვი.

ცენტრალურ აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ: სეიმის მარშალი იან დემბოვსკი, სეიმის ვიცე-მარშლები ფრანტიშეკ მაზური, იუზეფ ოზგა-მიხალსკი, სტანისლავ კულჩინსკი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზენონ ნოვაკი, საგარეო საქმეთა მინისტრი სტანისლავ სკშეპეტკი, სახელმწიფო საბჭოს მდივანი მარიან რიბიცკი, ვარშავის რადა ნაროდოვას თავმჯდომარე ეეი ალბრეხტი და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე პოლონეთის დედაქალაქის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ნ. ა. მიხაილოვი და საბჭოთა კავშირის ვარშავის საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

აეროდრომი მორთული იყო სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით. შეხვედრისას ჩაწყრილებული იყო სპატენი ყარაული. ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომზე დელეგაციას მიესალმა იან დემბოვსკი. მან თქვა:

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის სახელით, პოლონელი ხალხის სახელით გულითადად მოგესალმებით თქვენ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგატებს, როგორც ჩვენს ძვირფას და საყვარელ სტუმრებს, დიდი გმირი საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს, რომელსაც ჩვენი ხალხი უნდა უმადლოდეს თავის განთავისუფლებას ფაშისტური უღლისაგან. ჩვენ მოგესალმებით როგორც იმ ქვეყნის წარმომადგენლებს, რომელმაც ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ყველაზე მეტი წვლილი შეიტანა სისხლით და გმირობით, გადაატანა თავისუფლებისათვის ხალხთა ძლევამოსილი ბრძოლის მთავარი სიმძიმე.

პოლონელი ხალხი სულით და გულით გილოცავთ თქვენ — საბჭოთა ხალხებს წარმომადგენლებს, ხალხებისა, რომლებთანაც ჩვენ სამარადისოდ დაკავშირებული ვართ მეგობრობისა და ძმობის გრძნობებით, თავისუფლებისა და პროგრესის ერთიმდგომი იდეალებით, ერთიანი მისწრაფებით ჩვენი ხალხებისა და მთელი კაცობრიობის ბედნიერებისადმი. ჩვენ მოგესალმებით როგორც იმ ქვეყნის წარმომადგენლებს, რომელიც მთელი მსოფლიოს მშვიდობის ყველაზე საიმედო დასაყრდენია. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ყოფნა პოლონეთში კიდევ უფრო მეტად გაიერთიანებს ჩვენს მეგობრულ ხალხებს მშვიდობისათვის — მთელი კაცობრიობის უდიდესი სიკეთისათვის ბრძოლაში.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ა. პ. ვოლკოვმა.

ჩამოვიდა რა ჩვენს მეგობარ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, თქვა მან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას უწონარეს ყოველისა სურს უაღრესად გულმხურვალე და გულწრფელი მისალმების სიტყვებით მიმართოს გმირი ვარშავის მოსახლეობისა და მთელ პოლონელ ხალხს, რომელიც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით აშენებს ახალ, ბედნიერ ცხოვრებას.

ჩვენ განსაკუთრებით მოხარული ვართ მივესალმოთ პოლონელ ხალხს ამ დღეებში, როცა მოახლოებულია ღირსშესანიშნავი თებილი — საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების 10 წლისთავი.

ჩვენი ხალხების ძმური უანგარო მეგობრობა დღითიდღე იზრდება და მტკიცდება. ეს მეგობრობა ემყარება ურთიერთნდობასა და ორივე ქვეყნის ეროვნული ინტერესების პატივისცემას, და არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ამ მეგობრობის დარღვევა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამჟამინდელმა სესიამ მიიღო დეკლარაცია, რომელიც მიმართულია ყველა საბჭოთა ხალხებისა და პარლამენტებისადმი. დეკლარაციაში აღნიშნულია საფრთხე ახალი მსოფლიო ომისა, რომელიც შეიძლება დაიწყოს ომის შედეგად, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს ახორციელებს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისა და სამხედრო ბლოკების და დაჯგუფებათა შექმნის პოლიტიკას.

უმაღლესმა საბჭომ ყველა ქვეყნის ხალხებსა და პარლამენტებს მიმართა მოწოდებით გაერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი და არ დაუშვან ახალი მსოფლიო ომის დაწყება.

ჩვენ გულწრფელ მადლობას ვუძღვნით პოლონეთის სეიმს, რომელიც ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ამ მოწოდებას და მშვიდობის ინტერესებისათვის სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტებს შორის თანამშრომლობის განზორციელების კონკრეტული ნაბიჯის სახით გამოუგზავნა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მოწვევა ჩამოვსულიყავით თქვენს ქვეყანაში და დავსწრებოდით სეიმის სესიას, რომელიც ხვალ იხსნება.

საბჭოთა კავშირის ხალხები დიდი სიმპათიის გრძნობით ადევნებენ თვალყურს მომძე პოლონელი ხალხის შრომითის წარმატებებს და განსაკუთრებული ქმაყოფილებით აღნიშნავენ აქტიური ბრძოლას, რომელსაც ისი ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად ეწევა მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის.

ნება მიბოძეთ, განაცხადა დასასრულ ა. პ. ვოლკოვმა, ეუსურვო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს შემდგომი დიდი წარმატებანი სოციალისტური პოლონეთის მშენებლობის დიად საქმეში.

ამერიკა-ავსტრალიის მოლაპარაკება

ვაშინგტონი, 15 მარტი. (საკდესი). აქ მიმდინარეობს მოლაპარაკება ავსტრალიის დელეგაციასა, რომელსაც სათავეში უდგას ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი მენზისი, და ამერიკის ოფიციალურ პირებს შორის, პრეზიდენტ ეიზენჰაუერისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის ჩათვლით.

როგორც ამერიკის პრესის ცნობებიდან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობს მოლაპარაკების მსვლელობაში მიაღწიოს ამას, რომ უფრო მეტად დაუმორჩილოს ავსტრალიის პოლიტიკა ამერიკის ინტერესებს აზიასა და წყნარ ოკეანის რაიონში, კერძოდ, უზრუნველყოს, რომ ავსტრალიის მთავრობამ უფრო მტკიცედ დაუჭიროს მხარი ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ.

ამერიკის პრესა ქება-დიდებას ასხამს მენზისს, რომელიც მზად არის მიპყვეს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას. იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ეიზენჰაუერი და მენზისი უკვე შეთანხმდნენ „დაუყოვნებლივ გადადგან ნაბიჯები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გაერთიანებული ოპერაციების გეგმების კოორდინაციისათვის", თუ ამ რაიონში საომარი მოქმედება დაიწყო. საგენტოს სიტყვით, ამერიკის თავდაცვის სამინისტროს წინადადება მიეცემა შეიმუშაოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში „ამერიკა-ავსტრალიის თანამშრომლობის" სამხედრო გეგმები.

პრესის ცნობებით, ამერიკის ოფიციალური პირები მენზისთან ერთად განიხილავენ აგრეთვე „ატომის ენერგიის პრობლემას", რადგან ავსტრალია ურანის მადნის მიმწოდებელია.

ამერიკის შეერთებული შტატებისათვის სამსახურის გაწევის სამაგიეროდ მენზისს პპირდებიან ამას, რომ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი ავსტრალიას მისცემს 50 მილიონ დოლარ სესხს.

კვლავ მანევრებზე

ათიოდე წლის წინათ პროგრესულ კაცობრიობას ჩაესახა რწმენა, რომ გერმანიის მილიტარიზმს აღარასოდეს არ მიეცემოდა შესაძლებლობა თავს დაეტეხა მსოფლიოს ხალხებისათვის ახალი უბედურება. მაგრამ ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები გადაჭრით დაადგნენ გერმანელი რევანშისტების შეიარაღების გზას, გერმანიის ვერმახტის აღორძინების გზას. დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციით ისინი აჩქარებენ ახალ მსოფლიო ომს, უდიდეს საფრთხეს უქმნიან საყოველთაო მშვიდობას.

ამერიკული იარაღით აღჭურვილი ყოფილი ჰიტლერელი ნაძირალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სამხედრო მანევრებში და გულდასმით ემზადებიან ახალი, დაპყრობითი ომისათვის.

უცქერით აქ გამოქვეყნებულ სურათს და თვალწინ წარმოგიდგებათ მიხაკისფერი ჭირის მძვინვარების დღეები, მოგაგონდებათ ჰიტლერული სიკვდილის ბანაკები — ოსვენციმი, ლიდიცე, ბუხენვალდი, დახაუ, ნოიენგამე და რავენსბრუკი. ჰიტლერელმა არამზადებმა მარტო ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში სხვადასხვა საშუალებით მოსპეს სამეფოთა კაცობრიობის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების 3 მილიონამდე მოქალაქე. ათასობით ადამიანს აწამებდნენ და ხვრეტდნენ ბუხენვალდის ბანაკში, „სამედიცინო დაკვირვების" ბანაკში აქციეს დახაუს საკონცენტრაციო ბანაკი, „ჯოჯოხეთი ქალებისათვის" — ასე ეწოდებოდა ქალებისათვის განკუთვნილ რავენსბრუკის ბანაკს.

გერმანელმა ფაშისტებმა, რომლებიც თავს „მაღალი რასის" წარმომადგენლებად თვლიდნენ, 5 მილიონზე მეტი ებრაელი მოსპეს. საერთოდ კი მათ მიერ მხეცურად დახოცილ მშვიდობისმოყვარე უმწეო ადამიანთა რიცხვი 12 მილიონს აღემატება.

განა ბუნებრივი არ არის ის აღშფოთება, რასაც საბჭოთა ადამიანში გერმანელ რევანშისტთა საომარი მზადება იწვევს? პროგრესული კაცობრიობა ნებას არ მისცემს ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტებს გერმანელ რევანშისტთა შეიარაღების გზით გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი.

სურათზე: დასავლეთგერმანელი ჯარისკაცები მანევრებზე.

(ფოტო ვენის ეურნალიდან „ველტ-ილუსტრირტე").

პარიზის შეთანხმებები უარყოფილი უნდა იქნას

პარიზი, 15 მარტი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა კრება, რომელზეც გამოვიდნენ საფრანგეთის დელეგატები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ ევროპის თათბირის დელეგაციების ვარშავის შეხვედრაში. თავიანთ გამოსვლებში ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ მოეწყოს მოლაპარაკება მშვიდობიან და დემოკრატიულ საწყისებზე გერმანიის გაერთიანების შესახებ.

„ფრანგებმა უნდა იცოდნენ, რომ აღმოსავლეთთან შეიძლება მოლაპარაკება, — განაცხადა ერთ-ერთმა დელეგატმა, რესპუბლიკის საბჭოს წევრმა დებიუ-ბრიდელმა. — ამის ახალი დადასტურება იყო ვარშავის თათბირი". აღნიშნა რა, რომ სსრ კავშირისა და პოლონეთის ხალხები მთელ ძალღონეს ახმარენ მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, დებიუ-ბრიდელმა განაგრძო: „დასავლეთ გერმანიის შეიარაღება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ჩვენი თანამონაწილეობით. რაც შემეხება მე, უარს ვამბობ მონაწილეობა მივიღო ამ საქმეში. იმ დღეს, როცა საფრანგეთი შეასრულებს გერმანიის შეიარაღების საქმეში თანამონაწილის როლს, იგი დაკარგავს თავის, როგორც დიდი სახელმწიფოს, პრესტიჟს".

ეტიენ ნუვომ, საფრანგეთის ყოფილ ფრონტელთა იმ კავშირის ვიცე-თავმჯდომარემ, რომელიც 3 მილიონ წევრს აერთიანებს, შეკრებილთ უამბო ვარშავის შეხვედრის შესახებ. ილაპარაკა რა იმ წინადადებათა შესახებ, რომლებიც შეიტანეს საბჭოთა წარმომადგენლებმა ევროპის ბრძოლის მშვიდობიანი გადაჭრის მიზნით, ეტიენ ნუვომ განაცხადა:

„ამ წინადადებებს, სავსებით ცხადია, მივყავართ მშვიდობისაკენ, და ისინი იმდენად დამაჯერებელი იყვნენ, რომ პრესამ, რომელიც ემხრობა დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას, დაუმალა ისინი საზოგადოებრივ აზრს...

მე მინდა ვთქვა, — ან ჩვენ მოვახერხებთ წინააღმდეგობა გავუწიოთ შეერთებული შტატების ზეგავლენას, რომლებიც ცდილობენ მიაღწიონ იმას, რომ საფრანგეთმა მოიწონოს პარიზის შეთანხმებანი, ესე იგი მოვახერხებთ წინააღმდეგობა გავუწიოთ პოლიტიკას, რომელსაც თვითმკვლელობისაკენ მივყავართ, ან დასავლეთ ევროპაში თავისი კანონების კარნახს დაიწყებენ გერმანელი იმპერიალისტები. უნდა შევინარჩუნოთ სსრ კავშირთან ჩვენი კავშირი, რომელიც საჭიროა ჩვენთვის როგორც ჩვენი უშიშროების გარანტია".

ეროვნული კრების დეპუტატმა პიერ ლებონმა („სოციალური რესპუბლიკელი") განაცხადა: „ჩემი მხრივ მუდამ დარწმუნებული ვიყავი, რომ რუსებსა და ჩვენს შორის შესაძლებელია თანხმობა...."

კომუნისტმა დეპუტატმა პიერ ვილონმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთ გერმანიის შეიარაღება იქნებოდა არა მარტო საფრთხე საფრანგეთისათვის, არამედ „მნიშვნელოვანი ნაბიჯიც მსოფლიო კონფლიქტის გზაზე".

დღეს დემოკრატიულ პრესაში გამოქვეყნებულია საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, ეროვნული კრების დეპუტატის ემანუელ დ'ასტიე დე ლა ვიჟერის განცხადება. იგი აღნიშნავს, რომ ამჟამად ყველა ქვეყანაში ფართოდდება მოძრაობა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ და ატომური იარაღის აკრძალვისათვის.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობამ საფრანგეთში, წერს დ'ასტიე დე ლა ჟიჟერი, გადაწყვიტა 2-3 აპრილს პარიზში მოიწვიოს მშვიდობისმოყვარე ძალთა ასამბლეა. მშვიდობის მომხრეებმა, აღნიშნავს იგი, ხელი უნდა შეუშალონ ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა განხორციელებას და გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას, უნდა მიაღწიონ ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვას და მისი მარაგის მოსპობას, აგრეთვე აიძულონ საფრანგეთის მთავრობა, რომ დაუყოვნებლივ შეუდგეს მოლაპარაკებას გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის X სესია

ჟენევა, 16 მარტი. (საკდესი). გუშინ აქ გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის X სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ევროპის 23 სახელმწიფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები, შეთვალყურენი კანადიდან, ირანიდან და ისრაელიდან, აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლნი.

სესია გახსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის აღმასრულებელმა მდივანმა ბ. ნინა მიურდალმა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა პ. ნ. კუზიკინმა შეიტანა პროექტი რეზოლუციისა ამის შესახებ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენელი მიწვეულ იქნან კომისიის პლენარულ სხდომებში მონაწილეობის მისაღებად.

საბჭოთა წარმომადგენელმა ამასთან აღნიშნა, რომ ევროპის ეკონომიური განვითარების მთელი მსვლელობა და ევროპის ქვეყნების საგარეო-ეკონომიური ურთიერთობა დაბეჯითებით მოითხოვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მონაწილეობას კომისიის პლენარულ სხდომების მუშაობაში.

მან აღნიშნა, რომ გერმანია თავისი 70-მილიონიანი მოსახლეობით, განეთარებული ეკონომიკითა და საგარეო ვაჭრობის ფართო ურთიერთობით ახსენებს როლს ასრულებს ევროპის ეკონომიკაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამრეწველო წარმოება, თითქმის ერთიორად აღემატება ომამდელი 1936 წლის დონეს, ხოლო გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა — 75 პროცენტზე მეტით. ფართოდდება როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ისე დასავლეთ გერმანიის საგარეო ვაჭრობის ურთიერთობა. 1954 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა წინა წელთან შედარებით გადიდდა 23 პროცენტით. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას საგარეო ვაჭრობის ურთიერთობა აქვს 70 სახელმწიფოსთან.

გარდა ამისა, განაცხადა საბჭოთა დელეგატმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენელნი უკვე იღებენ აქტიურ მონაწილეობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის კომიტეტებისა და სხვა დამხმარე ორგანოების მუშაობაში და რომ გერმანიის ორივე ნაწილის წარმომადგენლებისათვის იმ უფლების წარმოშობა, რომ მონაწილეობა მიიღონ კომისიის სესიაში, არ შეესაბამება ევროპის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის განვითარების ინტერესებს და არ შეიძლება გამართლებულ იქნას არავითარი საქმით მოსაზრებით.

სსრ კავშირის წარმომადგენლის წინადადებას მხარი დაუჭირეს პოლონეთის, უკრაინისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკების, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთისა და ალბანეთის დელეგატები.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს, მათ შორის საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა გაილაშქრეს საბჭოთა დელეგაციის წინადადების წინააღმდეგ. გრძნობდნენ რა თავიანთი პოზიციის უსაფუძვლობას, მათ წამოაყენეს მთელი რიგი ფორმალური ხასიათის საწინააღმდეგო მოსაზრებანი, რის შედეგად სსრ კავშირის დელეგაციის წინადადება უარყოფილ იქნა. გუშინ გაიმართა აგრეთვე კომისიის X სესიის თავმჯდომარისა და ვიცე-თავმჯდომარის არჩევნები. სესიის თავმჯდომარედ აირჩიეს ბელგიის წარმომადგენელი მ. სუეტენსი, ვიცე-თავმჯდომარედ — პოლონეთის წარმომადგენელი კაც-სუხი.

X სესიის მუშაობის დღის წესრიგშია კომისიის კომიტეტებისა და სხვა დამხმარე ორგანოების მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები, კომისიის მოხსენება 1954 წელს ევროპის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ და მთელი რიგი სხვა საკითხები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომა

ლონდონი, 16 მარტი. (საკდესი). ოფიციალურ კომუნიკეში, რომელიც გუშინ ლონდონში გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ 15 მარტს ნორმან რობერტსონის თავმჯდომარეობით გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მორიგი სხდომა.

შემდეგი სხდომა გაიმართება 17 მარტს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური კომისიის მრეწველობისა და ვაჭრობის კომიტეტის სესიაზე

ტოკიო, 15 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური კომისიის მრეწველობისა და ვაჭრობის კომიტეტის სხდომის დასაწყისში სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვოლკოვმა. მან აღნიშნა შეუწყნარებელი მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა კომიტეტის სესიაზე, რამდენადაც ჩინეთის ადგილი უკანონოდ უკავია ჩანკაიშელთა გაკოტრებული ხროვის წარმომადგენელს, რომელსაც არავითარი უფლება არა აქვს გამოდიოდეს ჩინელი ხალხის სახელით. საბჭოთა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩინეთის წარმომადგენელი შეიძლება იყოს მხოლოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგატი. ლისინმანელთა წარმომადგენლის მონაწილეობა კომიტეტში, თქვა ვოლკოვმა, აგრეთვე უკანონოა, რამდენადაც იგი არ არის კორეის წარმომადგენელი, ასევე ცხადია, რომ სამხრეთ ვიეტნამის დელეგატი არ არის მთელი ვიეტნამის წარმომადგენელი.

დღეს კომიტეტის პირველ სხდომაზე გადაწყდა განხილულ იქნას ამ სესიაზე ქვეკომიტეტების მოხსენებანი ელექტროენერგიისა და მინერალური რესურსების საკითხებზე. აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური კომისიის რაიონის საგადასახდელო პრობლემების ექსპერტთა ჯგუფის მოხსენება.

შვეიცარიის ენერგეტიკის სამმართველოს დირექტორის განცხადება

სტოკჰოლმი, 16 მარტი. (საკდესი). სათაურით „საბჭოთა კავშირს სურს შვეიცარიასთან თანამშრომლობა ელექტროტექნიკის დარგში" გაზეთი „დაგენს ნიუხეტერი" ათავსებს შვეიცარიის ენერგეტიკის სახელმწიფო სამმართველოს დირექტორის ოტტ რუსკის განცხადებას, რომელიც მოსკოვიდან დაბრუნდა.

აღნიშნავს რა, რომ იგი და შვეიცარიის დელეგაცია სხვა წევრები საბჭოთა კავშირში კარგად მიიღეს, რუსკი აცხადებს, რომ შვეიცარიის დელეგაციის შეხვედრებს საბჭოთა ენერგეტიკოსებთან გულღია და სასიამოვნო ხასიათი ჰქონდა. რუსკემ გაკვირვებინეს, განაცხადა რუსკმა, რომ მათ დიდად აინტერესებთ შვეიცარიასთან თანამშრომლობა ელექტროტექნიკის დარგში. რამდენადაც მე მესმის, დასძინა მან, ეს სასარგებლო იქნებოდა ორივე ქვეყნისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ცირკში. სურათებზე: აკრობატები კოუეენიკოვები (მარცხნივ), დათვებს მწვრთნელი მსახიობი ე. ელვორტი. ფოტო შ. გოჭაძისა.

„დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი)

სოხუმი. (საკ. კორ.). გუშინ სოხუმის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" გუნდებს შორის. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ 1:1. მეორე ტაიმში დინამოელებმა „ტორპედოს" კარში დამატებით ორი ბურთი გაიტანეს და მოიგეს შეჯიბრება საბოლოოდ 3:1.

საქართველოს XVI ჩემპიონატი ჭადრაკში

მეექვსე ტური

15 მარტს თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა საქართველოს 1955 წლის პირველობის გათამაშების მორიგი მე-6 ტური.

გათამაშების ლიდერი ოსტატი მ. შიშაკი ეთამაშებოდა ოსტატობის კანდიდატს თ. გიორგაძეს. გიორგაძემ ციტენტრში უხეში შეცდომა დაუშვა და პარტია წააგო. საერთაშორისო ოსტატი ვ. გოგლიძე და ოსტატი ა. ებრალიძე ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე გ. კალატოზიშვილი—თ. კალატოზიშვილისა და ვ. ქარსელაძე—ბ. რაკინის პარტიები. ბ. გურგენიძემ მოუგო გ. მაჭავარიანს, ა. ბუსლაევმა — ზ. ჩარუას, ო. ელიოზიშვილისა და ე. მიქაელიანის პარტია გადაიდო.

ახალი სპექტაკლი

მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა ამ დღეებში დადგა ახალი სპექტაკლი — ე. ბელოვანის პიესა „ადარ გაიმეორებს". დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ა. სურმავას, მხატვრულად გააფორმა შ. ეორეულიძემ.

სპექტაკლში მონაწილეობას იღებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. კუპრაშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ვ. არეშიძე, ნ. სირბილაძე, მსახიობები ლ. ძიგრაშვილი, დ. ძნელაძე, შ. ლორთქიფანიძე, მ. ღლენტი, მ. დედანიშვილი, ე. ქელბაქიანი.

„დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი)

საქართველოს XVI ჩემპიონატი ჭადრაკში

მეექვსე ტური

ახალი სპექტაკლი

მილიონი ყვავილი თბილისის ქუჩებსა და პარკებში

თბილისის გამწვანების ტრესტი უკვე შეუდგა ქალაქის პარკების, ბაღების და ქუჩების საგაზაფხულო გამწვანებას. ტრესტს მომპარაგებული აქვს ხეებისა და ბუჩქების 150 ათასზე მეტი ნერგი.

გამწვანების დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ამჟამად „თბილისის ზღვაზე". აქ 20 ჰექტარზე შენდება კულტურისა და დასვენების პარკი. წელს აქ 10.000 ხე და ბუჩქი დაირგვება.

მწვანე ნარგავებით შეივსება ქალაქის პარკები — სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი, ლისის ტბის მიდამოები, ვაკის პარკი, რომელიც თბილისის მცხოვრებთა ერთ-ერთ საუკეთესო დასასვენებელ ადგილად გადაიქცა. პარკის ფერდობებზე დაირგვება 15.200 ხე და 10.000 ბუჩქი. განსაკუთრებით დიდი სამუშაოები წარმოებს 26 კომისრის სახელობის პარკში.

საგაზაფხულო ყვავილებით შეიმკობა დედა ქალაქის ქუჩების ბაზონები. 1 მილიონზე მეტი სხვადასხვა ყვავილი დაამშვენებს რუსთაველისა და პუშკინის პროსპექტებს, ლენინის, უნივერსიტეტისა და სხვა ქუჩების ბაზონებს, აგრეთვე ბაღებსა და პარკებს.

19 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის, 8) მოწვეულია საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების IV პლენუმი აქტივთან ერთად.

დღის წესრიგი: 1. საზოგადოების 1954 წლის მუშაობის შედეგები და 1955 წლის ამოცანები (მომხსენებელი — საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე პროფესორი დ. ენუქიძე).

2. 1954 წლის ხარჯთაღრიცხვის შესრულებისა და 1955 წლის ხარჯთაღრიცხვის შესახებ (მომხსენებელი — საზოგადოების გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი შ. ნემსაძე).

რედაქტორი ნ. ჯაში.

შ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

18, 20 და 22 მარტს

ახალი სპექტაკლი

ა. შავერზაშვილი

მ ა რ ი ნ ე

ოპერა 4 მოქმედებად

ლიბრეტო მ. ბარათაშვილისა

დაწერილებით აფიშებში.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება.

ДИСЕРТАЦИИ ДАЦТВА

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(უნივერსიტეტის ქ. № 11)

1955 წ. 30 მარტს დღის 3 საათზე № 25 აუდიტორიაში (მესამე კორპუსი) ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

მერი მირიანის ასული სიხარულიძე

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ზოგიერთი ამფიბიის, რეპტილიის და ფრინველის კლოაკის ლორწოიანი გარსის შედარებით-ჰისტოლოგიური გამოკვლევა".

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს და ყოველდღე

მრავალფეროვანი დიდი საცირკო წარმოდგენა

„გასართობი დათვები"

მსახიობ ელვინა ელმორტის ხელმძღვანელობით.

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირას, 20 მარტს

დღის ორი საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.

ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში, რუსთაველის პროსპ. № 1 და 24, პლეხანოვის პროსპ. № 97, ჩელიუსკინელების ქ. № 31.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენებზე არ დაიშვებიან.

მოქალაქე ასია ერვანდის ასულმა კუიუმჩევამ, მცხოვრებმა კომკავშირის ზეიცანი № 1, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ კონსტანტინე ალექსის-ძე კუიუმჩევთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის სასამართლო კოლეგია.

მოქალაქე მიკიჩ ნიკოლოზის-ძე ყარაშვილმა, მცხოვრებმა დუშეთის ქ. № 12, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე დუსია გიორგის ასულ კაჩლაევ-ყარაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის I უსნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე მარიამ ნიკოლოზის ასულმა კუბალაშვილმა, მცხოვრებმა მიასნიკოვის ქ. № 65, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ივანეს კონსტანტინეს-ძე კუბალაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ციროვის რაიონის მე-2 უსნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე დარიკო, შვილი მიხეილ ოჯახით იუწყებიან

მეთოდე დავითის-ძე რაზმაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-III ქ. ბორჯომში. გამოსვენება როზა ლუქსემბურგის ქ. № 13.

შვილები დომენტი, მიშა, ერემია, აგრაფინა ოჯახებით იუწყებიან

ელისაბედ ალექსის ასულ რაზმაძის

გარდაცვალებას. პანაშვ